ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 13 17 აგვისტო 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: დღევანდელ პრესის ერთი სავალალო საკითხი.—გზა-და-გზა. — სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში.—რუსეთში.—ოსმალეთი —სპარსეთი.—ზღვას, (ლექსი), **მალაქიაშვილისა.**—მაღალ წრეში, **განისა.**—(ლექსი) **თლუღელისა.**—ამერიკელ სოციალისტების პარტაიტაგიდან, **მ. მგალობლიშვილისა.**—პროვინცია.—მუშათა შორის.—გურიის ამბები.—დედა, როგორც აღმზრდელი, **ჰენრიხ შულცესი.** თარგმ. გერმანულიდან **სვ. კანდ—ისა.**—იძულებითი განმარტება, **ლ. დ—სა.**

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ		5 მ. — კ.
ნახევარ წლით	— —	3 მ. — კ.
სამი თვით	— —	1 მ. 60 კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით		7 მ. — კ.
ნახევარ წლით	— —	4 მ. — კ.
სამი თვით	— —	2 მ. — კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კუნძული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ книжный магазинъ „Сорапань“ (Мадат. островъ) Рахиль Каландадзе.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

დღევანდელ პრესის ერთი სავალალო საკითხი.

„მწერალი, თუ იგი სასიცოცხლო ძარღვია ხალხის, არ შეიძლება განგმირულათ არ გრძნობდეს თავის არსებას, როდესაც ლახვარსა სცემენ თავისუფლებას! მწერალი, თუ იგი ტალღაა სახალხო ზღვისა, არ შეიძლება არ აღშფოთდეს და არ განრისხდეს, როცა განრისხებულია თვითონ სტიქია!“ ასე მჭერმეტყველურათ გამოსთქვამს ერთი რუსი ავტორი იმ სამართლიან აზრს, რომ მწერლები, საზოგადოთ, ხალხის ის უაღრესათ მგრძნობარე ნაწილია, რომელიც ყოველგვარ სახალხო ჭირვარამს ყველაზე უფრო ღრმათ და ძლიერათ განიცდის. პატიოსანი მწერლობა ხალხის ერთგული და ფხიზელი გუშაგია ეკლით მოფენილ ცხოვრების გზაზე; რაიმე განსაცდელის მოახლოებებაზე იგი პირველი სცემს გამაფრთხილებელ საყვირს. სახალხო მოძრაობის დროს იგი წინ უძღვის მებრძოლ რაზმებს; მოძრაობის გათავებისას, როცა ყველანი დასასვენებლათ რაიმე ადგილს ეძებენ, მწერლობა და განსაკუთრებით პრესსა კიდევ არ ფიქრობს დაშოშმინებას; ხშირათ მოძრაობის უკანასკნელი აკორდი დიდი ხნის შეწყვეტილია, მაგრამ პრესა ჯერ კიდევ შფოთავს და ღრტვინავს. პრესამ არ იცის

შეჩერება, ის არ უდრკება არავითარ სიდუხჭირეს, ის მუდამ მოძრაობს, მოქმედობს, ის თვით სიცოცხლის ძარღვია.

უტეხ პოლიტიკურ რეაქციის დროს, როცა მძიმე ატმოსფერა ლოდივით დაგვწოლია ყველას და მთელი ცხოვრება ისე უკმეხათ გამოიყურება, თითქოს ყველაფერი ერთ ადგილზე გაიყინაო და ნამდვილათ კი ცხოვრების გულის სიღრმეში შეუჩერებელი მუშაობა სწარმოებს სახალხო ძალ-ღონის მოსაგროვებლათ და მოძრაობის ხელ-ახლათ ასაღორძინებლათ, პატიოსანი პრესა ამ დროსაც დაუღალავათ განაგრძობს მოქმედებას, ის იკვლევს განვლილ ქარ-ტეხილს, აფასებს აწმყოს და ენერგიულათ უჩვენებს გზას სანეტარო მომავლისაკენ. მაგრამ საერთო დაცემულობა პრესას უვნებლათ მაინც არ სტოვებს. პრესა მწარეთ იხრება წელში, როცა განსვრეტს მკითხველ საზოგადოების უნუგეშო გულ-გრილობას, კითხვის უხალისობას, აპატიას. რა ეშველება საქმეს? აქ არის კიდეც დღევანდელ პრესის სავალალო საკითხი,

ამ საკითხს ამ დღეებში თავის „მაღალი“ ყურადღება აღირსა გაზ. „Закавказье“-მ (№ 181) და თავისებურათაც განმარტა. „ჩვენო—სწერს იგი — არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ საზოგადოებას მობეზრდა გრძელი და ლამაზი „რეჩები“, რომელნიც მოკლებულია საქმის უნარს და პრაქტიკულ ხასიათს... ნაცვლათ იმისა, რომ ჩვენი ახალგაზდა თაობა მიჰყავდეს სისტემატიურ კულტურულ განვითარებისა და დღიურ მიზნების ნათლათ გაგების გზაზე, იგი (ე. ი. ადგილობრივი პრესა) უგერგილოთ ღეჭავს იმ ფილოსოფიურ კითხვებს, რომელნიც არავის არ ეინტერესება, არავის არ ესაჭიროება“.

ასე სწერს გაზეთი, რომელმაც ამას წინათ ქვეყანა შეაჯერა ბ-ნ გ. რობაქიძეს ფილოსოფიის ქება-დიდებით და იმავ ფილოსოფიის უშველებელ წერილებით; შემდეგ, გაზეთი ხმა-მაღლა აცხადებს: „ლაპარაკიც კი მეტია იმაზე, თუ რამდენათ შეუწყნარებელია ამგვარი თეორეტიული მსჯელობანი და გაუთავებელი ყვირილი ალტრუიზმზე, ადამიანობაზე, მუშათა და სხვა მრავალ ასეთ საკითხებზე თვითონ ცხოვრებამ საკმაოთ ნათლათ გამოააშკარავა ამგვარ ოცნებათა სისულელე“. ჩვენ დიდიხანია ვიცით, რომ „Зак.“-სა და მის მომავლინებელ ბატონების სახარებაა ეგოიზმი, ხოლო ალტრუიზმი, ადამიანობა და სხ. ამგვარებს ისინი უტოვებენ „პრაქტიკულ მიზნების“ უნარ მოკლებულ ადამიანებს.

„Зак.“ რომ „მუშათა საკითხისათვის“ თავს არ იცხელებს ეს აშკარაა, მაგრამ თვითონ მუშები კი არ შეიძლება არ იყვენ დაინტერესებული თავიანთ კლასის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხებით. საერთოთ უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ მემარცხენე პრესას ყველაფერი შეგიძლიანთ უსაყვედუროთ, მარა ის კი არა, ვითომ მისგან წამოყენებული საკითხები და თემები არ იყოს საინტერესო და მნიშვნელოვანი. ყველანი თანახმანი არიან, მაგ., რომ ნაციონალური საკითხი კავკასიელებისათვის ერთი ძირითადი, საარსებო საკითხიაო, მარა აბა ყური დაუგდეთ მკითხველ საზოგადოებას, მოუსმინეთ თუნდ იმათ, ვინც მოწინავე ელემენტებათ ითვლებიან; ესენი ირწმუნებიან, რომ ნაციონალური საკითხი ჩვენთვის ერთობ დიდ-მნიშვნელოვანი, საჭირ-ბოროტო საკითხი არის, ამავე დროს **მათ არ მოეპოვებათ ამ საკითხის თვით ელემენტარული, საანბანო ცოდნა**, მაგრამ აბა შეეკითხეთ მათ ამ საგანზე, წაიკითხეს თუ არა ეს ანუ ის სტატია, რაც ჩვენებურ—თუნდ სხვა ქვეყნის—ორგანოებში იბეჭდება. ერთი გიპასუხებს: არა, ვერ წავიკითხე, ძალიან გრძელი იყო და გული ვერ დავუდე; მეორე—ერთ საგაზეთო წერილში რა უნდა ყოფილიყო საიმისო; მესამე—სტატია ძალიან სერიოზული და ბძიმე საკითხავი იყო; მეოთხე ჩივის, სტატია ძალიან მჩატე და მიტინგურია, და ასე ბოლომდის. ნამდვილი მიზეზი კი ერთი და იგივეა: ფსიხოლოგიური რეაქცია, რომელიც თან მოიტანა პოლიტიკურმა რეაქციამ და რომელიც ამ უკანასკნელზე უფრო მეტათ სახიფათოა.

მიუხედავათ ასეთ უნუგეშო მდგომარეობისა, პრესა მაინც იარაღს ვერ დაყრის და მუშაობას მაინც ვერ შეწყვეტს, რადგან იგი თვით სიცოცხლის ძარღვია. მარა იგი ამ შავ-ბნელ მდგომარეობას ფარსაგათ ვერ გაღწევს, თუ მას არ დაეხმარება თვით მკითხველ საზოგადოების ცოცხალი ელემენტები. საჭიროა ესენი ყურებ ჩამოყრილ და გაოგნებულ ამხანაგებს შეანჯღრევდენ და იდეურ მუჯლუგუნს წაჰკრავდენ ხოლმე, საჭიროა დაცემულ-დაბეჩავებულ და გაქსუებულ ამხანაგებს მეგობრის მშველელ ხელს გაუწვდიდენ, სიცოცხლის ენერგიას შთაბერავდენ, სოციალურ მოტივებს გაუღვიძებდენ, კითხვა-მეცადინეობის ხალისსა და ცოდნის შეძენის სურვილს განუახლებდენ.

მხოლოდ ასეთი პირობით პრესაც შეიძლებს ბოლომდის მხნეთ განაგრძოს თვისი მძიმე, მაგრამ საპატიო მოვალეობის შესრულება—ერთგულ და ფხიზელ გუშაგივით აღვიძებდეს ხალხის შეგნება-ცნობიერებას.

გზა-და-გზა.

II

ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია.

ყველა იმ მხარეში, სადაც კი ორი, ან რამდენიმე ნაცია ერთათ ბინადრობს, ერთ და იმავე სახელმწიფო ჩარჩოში არის მომწყვდეული, საკითხი ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის შესახებ მეტათ დიდ-მნიშვნელოვან საქმეთ ხდება და მწვავე ბრძოლასაც იწვევს ამ დღიდანვე, როცა კი იღვიძებს ამ ნაციათა ხალხის შეგნება და თვითცნობიერება. ეს აგრეც უნდა იყოს. სახელმწიფო ცენტრალიზაცია საშინელი იარაღია მჩაგვრელობა-ექსპლოატაცია-მონობისა, დეცენტრალიზაცია კი ფარია მის წინააღმდეგ შეგებებული, დეცენტრალიზაცია საგრილობელია ნაციონალურ მონობის სიმწვავის

გასანელებლათ, იგია მალამო მონობის ბორკილებისაგან მოყენებულ ჭრილობათა მოსალბუნებლათ და განსაკურნავათ. ასე რომ საკითხი ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის შესახებ მჭიდროთ არის შეერთებული ნაციონალურ საკითხთან. უკანასკნელის გადაჭრა, ერთ და იმავე სახელმწიფო ფარგლებში, ყოვლად შეუძლებელია ისე, თუ არ გადასწყვიტეთ პირველი საკითხი. ამიტომაც არის, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში ცენტრალიზმი და დეცენტრალიზმი დავა-კამათის ერთ მთავარ საგნათ გადიქცა.

ეს ყველაფერი თავისთავათ გასაგებია, გაუგებარია, პირველი შეხედვით მაინც, ერთი რამ. ადგილობრივ პრესაში ჩვენ არა იშვიათათ მოწმე ვართ ერთობ უცნაურ მოვლენისა. სახელდობრ, დაჩაგრულ ნაციის დაჩაგრულ კლასის იდეოლოგები ესარჩლებიან ცენტრალიზაციას, ხოლო გაბატონებულ კლასების და შეძლებულ საზოგადოებრივ წრეების იდეოლოგები მათ მრისხანეთ ეკვეთებიან, სასტიკათ ჰგმობენ ცენტრალიზაციას და ენერგიულათ იცავენ დეცენტრალიზაციას. როგორ? დაჩაგვრელები დგებიან განმათავისუფლებელ ფერხულში, ხოლო დაჩაგრულები კი ამას ეწინააღმდეგებიან და იცავენ მონობის გამომჭედ საზარელ იარაღს,—ცენტრალიზაციას?!.. და ეს მაშინ, როცა მთელი იმპერიის განმათავისუფლებელ მოძრაობის ერთი ძირითადი პოლიტიკური საკითხი არის სწორეთ დეცენტრალიზაციის განხორციელება?! არა, აქ რაღაც საშინელი აბნეულობაა, ენათა არევაა, ეს რაღაც ბოროტ სიზმარსა ჰგავს, მაგრამ ჩვენ არ უნდა ავყვეთ გრძნობას და საქმე უნდა განვიხილოთ ცივი გონებით. თუ ასე მოვიქცევით, დავინახავთ, რომ ცენტრალიზაციის „მომხრეობა“ არც ისე უსაფუძვლოა, როგორც პირველი შეხედვით გვეჩვენება, თუმცა, ამ შემთხვევაში ამხანაგების ყველა მოსაზრებანი, რასაკვირველია, არ არის სწორე და არც მათი ყველა დასკვნები შეიძლება იყოს სამართლიანი. საჭიროა მკაფიოთ განვაცალკევოთ ერთმანეთისაგან სწორე და მრუდე, მართალი და შემცდარი. საჭიროა ეს, რაც შეიძლება დროიანათ, თუ გვინდა, რომ არ გავხდეთ უნებური სალესავი ჩვენ მტერთა და მოწინააღმდეგეთა მახვილის გასალესათ.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ სოციალდემოკრატებსა და მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის აღნიშნულ საკითხის შესახებაც ხშირათ იგივე ხდება, რაც ბევრ სხვა საკითხებში. ასე მაგ., როცა ჩვენ აღვნიშნავთ კაპიტალისტურ საზოგადოების ულმობელ ტენდენციას ხალხის დიდი ნაწილის გაღატაკება-გაბოგანოების, პროლეტარიზაციის შესახებ, მოწინააღმდეგენი ყვირიან: სოციალდემოკრატები გლეხებს საკუთრებას ართმევენ, პროლეტარიზაციას აწარმოებენო! ანუ როცა მიუთითებ კაპიტალიზმის რეალურ ფაქტზე—საწარმოო ძალთა კონცენტრაციაზე, ისინი ყვირიან: სოც.-დემოკრატები კაპიტალიზმის აგენტები არიან, ნამდვილათ მდიდრების, კაპიტალისტების პარტიას შეადგენენო; ამ ბოლო დროს კიდევ—ვის არ ახსოვს—სოც.-დემოკრატები გამოჰყავდათ არსებულ ბიუროკრატიულ ცენტრალიზმის მომხრეთ და „მონობის აპოლოგეტებათ (მადიდებლათ).“ ყველა ასეთი ბრალდებანი, რასაკვირველია, ან ავათმყოფ ფანტაზიის ნაყოფია და ან იმის მაჩვენებელი, რომ მოწინააღმდეგენი არავითარ ზომების წინაშე არ იხევენ სოც.-დემოკრატების დასამცირებლათ და დასამარცხებლათ. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგჯერ თვით ჩვენი ამხანაგები აძლევენ მოწინააღმდეგეთ საბაბს ურიგო და უწმაწურ კამპანიის საწარმოებლათ; ამხანაგებს პოლემიკის გატაცებაში ზოგჯერ ისეთი ფრაზა წამოსცდებათ ხოლმე, რომელიც ძირიანათ ამრუდებს სოციალდემოკრატიულ შეხედულებას.

ამ ბოლო დროს სახელმწიფო ცენტრალიზაციას შემტევი კილოთი გამოესარჩლა ამხ. ა. ჩხენკელი. იგი ერთ თავის ფელეტონში სხვათა შორის სწერს: „სოციალდემოკრატია **პრინციპიალურათ ცენტრალიზმის მომხრეა** (ხაზს თვითონვე უსვამს), როგორც ერთ ერისაგან, ისე მრავალ ერთაგან შემდგარ სახელმწიფოში. ის დონკიხოტის გზას ვერ დაადგება, რომელსაც სურდა ფეოდალურ რაინდობის აღდგენა. მთელი ცხოვრება ცენტრალიზმისაკენ მიილტვის, მას არ შეუძლია ამ ძლევა-მოსილ მსვლელობას გაუმკლავდეს. ქარის წისქვილთან ბრძოლა უსაქმურებს უნდა დაეთმოს, სოციალდემოკრატიას ისედაც ბევრი საქმე აქვს, თუმცა ზოგიერთ მას წევრს არა ერთხელ ავიწყდება ეს. ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია ტაქტიკის კითხვაო, რამდენჯერმე წაგვიკითხავს პარტიულ პრესაში,—ეს აზრი შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია **პრინციპიალური კითხვაა**, ტაქტიკური კითხვა კი არის **დეცენტრალიზაციის ესა თუ ის ფორმა**“. აქ, როგორცა ხედავთ, აზრი ძალიან გარკვევით და გადაჭრით არის გამოთქმული. მაგრამ ასევე გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ სხარტულათ თქმა იმისი, ვითომ სოციალდემოკრატია პრინციპიალური მომხრეა ცენტრალიზაციისა, ეს მიუტევებელი და შეუწყნარებელი შეცდომაა! თანამედროვე საზოგადოებაში არ არსებობს ისეთი პირობები, რომელნიც სოციალდემოკრატიას აკისრებდეს სახელმწიფო ცენტრალიზაციისათვის მუშაობას. მაშ რას ნიშნავს ამხანაგის კატეგორიული განცხადება? ნიშნავს იმას, რომ იგი მოვლენას ცალი მხრიდან უყურებს და ამიტომაც მას მხედველობიდან ეკარგება მთელი ცხოვრების მთელი მიმდინარეობა.

ამხ. ჩხენკელი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ მოსპო საშუალო საუკუნოების კარ-ჩაკეტილი ცხოვრება, ქვეყანა გააერთიანა ეკონომიურათ, მოხდა ცენტრალიზაცია ეკონომიაში, რამაც გამოიწვია ცენტრალიზაცია სახელმწიფოში; მაგრამ განვითარებაც აქაც არ გაჩერებულა—განაგრძობს იგი—ცალკე სახელმწიფონი ველარ ეტევიან თავიანთ საზღვრებში, შინაური

ბაზარი განუყრელათ უკავშირდება მსოფლიო ბაზარს, სახელმწიფონი სდებენ ერთმანეთში სხვა-და-სხვა სავაჭრო, საბაჟო კონვენციებს, იზრდება სახელმწიფოთა შორის მჭიდრო დამოკიდებულება-ურთიერთობანი. მართალია ყველა ეს თუ არა? დიახ, მართალია, მაგრამ აქედან ცენტრალიზმის ზემოხსენებულ გაპრინციპებამდის ჯერ კიდევ ძალიან შორსა ვართ.

მართალია ცენტრალისტურ ტენდენციის მატარებელი ბურჟუაზია ისწრაფის ყველანი და ყველაფერი თავის ნაციაში გათქვიფოს, „იგი მოსისხლე მტერია პალოების და ლოკალიზმის სახელმწიფოს შიგნით“ და ასეთ პალოებათ ჰხედავს ყოველ უცხო ნაციონალურ ენას, ასეთ „ლოკალიზმათ“ გამოაქვს ამ ერის თვითარსებობისადმი ლტოლვილება, რისთვისაც იგი (გაბატონებული ბურჟუაზია) ისწრაფის მოსპოს და გაანადგუროს ყველაფერი, რასაც კი ნაციონალური ელფერი ადევს. მაგრამ... მაგარიც ისაა, რომ ერი არც საქონელია და არც უსულო ნივთია, მას წიხლს ვერ ამოკრავ და სურველისამებრ აქეთ-იქით ვერ გადაისვრი, ვერც იმის თავზე შეიძლებ ყოველნაირ ოპერაციების გაკეთებას. ადამიანი ძალიან მომთმენი და ბევრის ამტანი ცხოველია, მაგრამ ბოლოს, რაკი აივსება ფიალა, მაშინ აჯანყება იცის; ამავე გზას მისდევს ადამიანთა ის კრებული, რასაც ეწოდება ნაცია, ერი. მაგრამ, ბევრებიან, დონკიხოტობა, ქარის წისქვილებთან ბრძოლა დიდი გმირობაც რომ იყოს, რა საკადრისიაო! საქმე ის არის, ძირითადი შეცდომაც იმაშია, რომ აქ დონკიხოტობა სრულიად მოსატანი არ არის. დაჩაგრული ნაციები არსებობისათვის ბრძოლას სწავლობენ თვით გაბატონებულ ნაციათაგან, ამათგან იღებენ იმავე აბჯარს, იმავე იარაღს, რითაც ესენი ერთხელ გაბატონებამდე მისულან. „დაჩაგრულ ხალხებშიც, რამდენათ მათში განვითარებულა კაპიტალიზმი, იმდენათ ისინი ერებათ ქცეულან, და ცდილობენ ერთეულ პოლიტიკურ ორგანიზმათ იქცენ, სულ ერთია, რას დავარქმევთ ამ ორგინიზმს, დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ავტონომიას თუ თვითმართველობას“. ამას სწერს თვითონ ამხ. ჩხენკელი, მაგრამ, სამწუხაროთ, ის ამ მნიშვნელოვან სტრიქონებს ფრჩხილებში აქცევს, სათანადო ყურადღებით არ ეკიდება, და არც გამოყავს იქიდან ჯეროვანი, ლოგიკური დასკვნა. ეს დასკვნა კი ის არის, რომ იმავ კაპიტალიზმის წიაღიდან, საიდანაც მომდინარეობს ცენტრალიზაცია, იქიდანვე მოსჩქეფს მეორე ნაკადული, **დეცენტრალიზაცია**, რომელიც პირველს ეტაკება და თავისთვის სიცოცხლის უფლებას ადასტურებინებს. და ეს ჰიპოტეზა კი აღარ არის, არამეთ ცოცხალი ფაქტებია თანამედროვე სახელმწიფოებისა. ყველგან, სადაც კი დაჩაგრული ნაცია წელში გაიმართა, ყველგან ის გამწარებით ეკვეთა ცენტრს, რათა იქიდან, რაც შეიძლება, მეტი უფლებები გამოეგლიჯნა თავისთვის; ზოგან სრულიად გასწყვიტა ცენტრთან კავშირი, ზოგან მოიპოვა ავტონომია, სხვაგან ჯერ კიდევ სწარმოებს ბრძოლა. მარა ყოველგან, სადაც კი განხორციელდა დეცენტრალიზაცია, ამერიკაში, ავსტრალიაში, აფრიკაში და სხ ყველგან დეცენტრალიზაციამ გასწეტერებლათ ხელი შეუწყო კაპიტალიზმის განვითარებას, ეკონომიურ ძალების აღორძინებას, მარა უკანასკნელი ხომ უეჭველათ ნიშნავს კონცენტრაციას, ეკონომიურ ძალების ცენტრალიზაციას, და განა ამას არ ეწინააღმდეგება ნაციათა სახელმწიფოს პოლიტიკური დეცენტრალიზაცია? არა არ ეწინააღმდეგება! პირიქით ეხმარება. ამ „საიდუმლოების“ ახსნას იძლევა ის უბრალო, ნათელი, მაგრამ „დოქტრინიორებისათვის“ ძნელათ დასანახი გარემოება, რომ **თანამედროვე** დეცენტრალიზაცია —პოლიტიკურია ეს, თუ ადმინისტრატიული—არ არის და არ შეიძლება იყოს „დონკიხოტის რაინდობის აღდგენა“, არ არის და არ შეიძლება იყოს საშუალო საუკუნოების, ფეოდალურ ცხოვრების კარჩაკეტილობის გაცოცხლება. უკანასკნელი, რა თქმა უნდა, კაპიტალიზმის მოსპობა-განადგურება იქნებოდა, ხოლო კაპიტალიზმის მოსპობა კი, სხვანაირათ, თუ არ სოციალიზმის საშუალებით, უეჭველათ ნიშნავს რეგრესს, უკან წასვლას, გადაშენება-გათახსირებას და თვით ნაციათა მოსპობას, დაჩაგრული ნაციები კი ესწრაფიან სიცოცხლეს და ამ ნაციონალურ სიცოცხლის დამზღვევი და განმავითარებელია სწორეთ დეცენტრალიზაცია.

მაგრამ დეცენტრალიზაციის პროცესი სწარმოებს არა მარტო ნაციათა სახელმწიფოში, არამედ აგრეთვე იმ სახელმწიფოშიაც, სადაც მხოლოთ ერთი ნაცია ბინადრობს.

ფეოდალური კარჩაკეტილობა მოსპო ბიუროკრატიულმა თვითმპყრობელობამ, პირველათ ამან განახორციელა სახელმწიფოს ცენტრალიზაცია ⁄ ეს მოხდა სწორეთ ბურჟუაზიის ინტერესთა სასამსახუროთ; მაგრამ როცა კი ბურჟუაზია საკმაოთ ღონიერდება, იგი ძველი რეჟიმის წინააღმდეგ რევოლიუციის ბაირაღს იღებს და მას სხვათა შორის ზედ აწერს დეცენტრალიზაციის მოთხოვნას. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ძველი რეჟიმის ცენტრალიზაცია იყო ტლანქი, ხეპრე, მექანიკური, ქვეყნის შემომქმედ ძალების შემბორკავი; კაპიტალიზმის განვითარება კი უაღრესათ ითხოვს თაოსნობა-თვითმოქმედების ამოძრავებას. ბურჟუაზია თავის სახელმწიფოში ანხორციელებს ორგანიულ ცენტრალიზაციას, ე. ი. ისეთს, რომელიც ემყარება ეკონომიურ ძალთა თავისუფალ განვითარებაზე. რაც დრო მიდის, კაპიტალიზმი იმდენათ ართულებს ეკონომიურ ცხოვრებას, რომ სრულიად შეუძლებელი ხდება ცენტრიდან მთელი მართვა-გამგეობის წარმოება. ამასვე შეუძლებლათ ხდის თვითონ ხალხის შეგნება, რომელიც უფრო და უფრო მეტ მონაწილეობას ითხოვს ქვეყნის მართვა-გამგეობაში. პარლამენტარიზმის განვითარება აუცილებლათ ითხოვს ფართე ადგილობრივ თვითმართველობას, ე. ი. ადმისტრატიულ დეცენტრალიზაციას.

მაგრამ გაბატონებული ბურჟუაზია, რაც დრო

მიდის, იმდენი უფრო ალმაცერათ და მტრულათ უწყებს ყურებას ყველა დემოკრატიულ უფლებებს, და დეცენტრალიზაცია ხომ დემოკრატიის ძარითადი უფლება და მოთხოვნა არის. გაბატონებული ბურჟუაზია, ყველა მოკამანდე კლასები საერთოდ ბეჯითად ესწრაფიან ყველანი ყველაფერი ცენტრს დაუმორჩილონ და მით გააბათილონ ყოველნაირი დეცენტრალიზაცია (მაგალითები იკითხეთ თუნდ საფრანგეთის რესპუბლიკაში.) დემოკრატიას ხშირათ ღალატობს თვით რადიკალური ბურჟუაზია. დემოკრატიის ერთგული დარაჯი, დემოკრატიულ უფლებების და მოთხოვნებისათვის, მაშასადამე, დეცენტრალიზაციისათვისაც — ბოლომდის თავ-გამოდებული მებრძოლი არის და იქნება მხოლოდ სოციალდემოკრატია. დიახ, სოციალდემოკრატია **პრინციპიალურათ დეცენტრალიზაციის მომხრეა**! იმ დღიდან, როცა ეს დებულება ცხოვრებაში შეიცვლებოდა, იმ დღიდან ს.-დ. ღირსი აღარ იქნებოდა თავის სახელის. ტაქტიკის საკითხი მხოლოდ ის არის, თუ სად და როდის დეცენტრალიზაციის რომელი ფორმა სჯობია.

როგორია დეცენტრალიზაციის ფორმები და როგორი უნდა იყოს ჩვენი საერთო ტაქტიკური დებულებანი, ამაზე შემდეგ წერილში... იქვე შევეხებით ამხ. რ. ა-ს, რომლის მეთაური წერილი (იხ. „ხომლი“ № 26) აშენებულია **სასაცილო გაუგებრობაზე**. აქედანვე ამხანაგებს მივცემთ მხოლოდ შემდეგ თეზისებს: 1) პოლიტიკური უფლებანი, მთელი წყება პოლიტიკურ უფლებათა **უსათუოთ** არ ნიშნავს „ეროვნულ პოლიტიკურ ავტონომიას“ ე. ი. ატომისტურ პრინციპზე დამყარებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას; 2) არავითარი ავტონომია არ არსებობს პოლიტიკურ უფლებათა გარეშე, თვით ნაციონალურ-კულტურული ავტონომია ფუჭი სიტყვა და სიყალბე იქნებოდა, თუ კი ნაციას არ მიენიჭებოდა საფანადო **პოლიტიკური უფლებანი**; 3) ავტონომიის წინააღმდეგ იმის გასსენება, რომ ავტონომიურ ავსტრალიის მუშებმა წამოაყენეს მოთხოვნა — „უცხო ერის მუშები არ შეუშვათ ჩვენს ქვეყანაში, რადგან ესენი კონკურენციას გვიწევენო“, ასეთი საბუთის წამოყენება აბსურდია, უაზრობაა; 4) ავტონომია კი არ აცალკევებს სხვადასხვა ნაციის მუშა ხალხს, იგი სჭედავს ამ ხალხის ძმობა-ერთობას და ამზადებს **მთელ** ნაციათა მჭიდრო სოლიდარობას.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩვენში

— რადგან ფბილისში უკვე რამდენიმე კაცი გარდაიცვალა ხოლერისაგან, ქალაქის თვითმართველობის განკარგულებით ყველა უბანში ექიმები და სასანიტარო მზრუნველები შეუდგენ ქუჩებისა, არხებისა და კერძო სახლების დასუფთავება-დაწმენდას.

— როგორც „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, ნამესტნიკთან ერთად სამსახურს თავს ანებებს თურმე იმის კანცელარიის დირექტორი პეტერსონი.

— ამას წინათ თბილისში დაარსდა ახალი ქართული საზოგადოება „განათლების“ სახელით. ამ საზოგადოებას, შუამდგომლობის თანახმათ, ნება მიეცა დაარსოს თბილისში ორი სასწავლებელი, ორივე ქართველებისათვის, ერთი — ოთხ-კლასიანი, მეორე — ერთ-კლასიანი. სასწავლებლები, როგორც გადმოგვცეს, ამ შემოდგომაზე არსდება. ამ ჟამათ ოლქის მზრუნველმა მოსთხოვა ხსენებულ საზოგადოებას წარადგინოს განზრახულ სასწავლებლების დაწვრილებითი გეგმა და საჭირო თანხის ხარჯთ-აღრიცხვა.

— სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციას აზრათა აქვს გარდაცვალებულ საზოგადო მოღვაწის, პროფ. პეტრიაშვილის პატივსაცემათ მის სახელობაზე გამართოს ქართული ლექცია პირველ სემესტრის გახსნიდანვე. ლექციაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნობს მის ბიოგრაფიას და საზოგადოთ იმას თუ რა ღვაწლი მიუძღვის გარდაცვალებულ პროფესორს მეცნიერებაში.

— სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციას აზრათა აქვს ამ მოკლე ხანში გახსნას ორი პირველ დაწყებითი სკოლა ქართველ მუშათათვის ერთი წლის კურსით, სკოლაში მიიღება მუშა ქალები და ვაჟები 16—30 წ. სწავლა საღამოობით იქნება, სწავლის ფასი 30 კ. გადახდებათ თვეში. მუშების მიღების დროს სექცია ცალკე გამოაცხადებს. სასურველი იქნება, რომ ამ სკოლებში წერაკითხვის მეტი უცოდინარნი ჩაეწერენ.

— ტრამვაის სამმართველოს წინ გამოკრულია ბრძანება, რომლითაც ტრამვაის დირექტორი ბ-ნი ალიბეგოვი დილაობით ტრამვაის გამოსვლის დაგვიანების მიზეზათ ასახელებს სხვათა შორის ვატმანების მიერ სხვადა-სხვა „აზარტნი“ სათამაშოების გაჭართვას და თავის გართობას. დირექტორი კატეგორიულათ აცხადებს, რომ თუ ამიერიდან კიდევ შენიშნა ვატმანებს ასეთი დაუდევრობა, დამნაშავე პირთ პირველათ დააჯარიმებს და მეორეთ კი სამსახურიდანაც დაითხოვს.

— მარიამობისთვის ბოლოს კავკასიის მხრით წარმომადგენლებათ მოსკოვში მიემგზავრებიან აგრონომები ა. კალანტარი და კ. სატუნინი, რომ დაესწრენ იქ მეტალურგიურ გამოფენაზე.

— გაზ. „ზაკ.“ ყოფილ რედაქტორს პარ. გოთუას თბილისის გუბერნატორმა ნება დართო გამოსცეს თბილისში რუსულ ენაზე საზოგადო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „Кавказскій листокъ“.

— საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქცია ბეჭდავს ლევ. ტოლსტოის საიუბილეოდ საყმაწვილო წიგნაკს, რომელშიაც მოთავსებული იქნება, გარდა ტოლსტოის ბიოგრაფიისა და სურათისა, სამი მისი საუკეთესო მოთხრობა: „ღმერთი სიმართლეს ჰხედავს, მაგრამ მალე არ გამოაჩენს“, „კავკასიელი ტუსაღი“ და „მონტე კრისტო“.

— გამოვიდა ჟურ. „ნაკადული“ მოზრდილთათვის

№ 8 და მცირე წლოვანთაოვის № 15. ჟურნალი ჩვეულებრივათ სუფთათაა დაბეჭდილი და საინტერესო შინაარსისაა.

რუსეთში.

— სიკვდილით დასჯეს: ლოდზში—ექვსი, ვარშავაში—ოთხი, ოდესაში—ერთი.

— სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ვარშავაში—ოცდახუთს, ლოდზში—ცხრას, პინსკში—ხუთს, ვილნაში—ხუთს, სარატოვში—სამს, კიევში—ორს. („რეჩი“ № № 185—189).

— დააჯარიმეს შემდეგი გაზეთები: „ვიატსკაია რეჩი“ 300 მან., „კიევსკაია მისლი“—500 მან., პოლშური იუმორისტული ჟურნალი „ბელი პავლინ“—100 მანეთით.

— სამხრეთ-დასავლეთ მხარეში მთავრობამ აკრძალა ებრაულ ენაზე წარმოდგენების მართვა.

— რიგაში გაიხსნა ბალტიის მასწავლებელთა სიეზდი. მონაწილეობას იღებს 340 კაცი.

— ლ. ნ. ტოლსტოის წერილი „არ შემიძლიან გავჩუმდე“, რომელიც უფასოთ გაუგზავნა მან რედაქციებს რუსეთის პროგრესიულ პრესას დაუჯდა 8,300 მან. ეს ფული შეიტანეს რედაქციებმა ხაზინაში, როგორც ჯარიმა ტოლსტოის წერილის მოთავსების გამო. ყველაზე ძალიან დაუფასებია ტოლსტოის წერილი მოსკოვის ადმინისტრაციას („რუსკია ვედ.“ დააჯარიმა 3000 მან.), ყველაზე ნაკლებ ბიდებული მწერალი დაიფასა ბათუმის ადმინისტრაციამ („ბოლოს ბატუმა“ დააჯარიმეს 300 მან.).

— ოსტზეის ბარონები ყოველ წვრილმან ამბავს აზვიადებენ და გამოაქვთ, როგორც დიდი რევოლიუციონური აქტი, რათა მთავრობამ არ მოსპოს იქ სამხედრო წესები, რომლის მფარველობის ქვეშ მათ ტკბილათ ეცხოვრებათ.

— როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, ლ. ნ. ტოლსტოი სწერს ახალ პიესას სიკვდილით დასჯის შესახებ შემდეგი სათაურით: „კანონი ძალმომრეობისა და კანონი სიყვარულისა“.

— 6 აგვისტოს 1-ლი სახელმწიფო დუმის 18 დეპუტატი, რომელნიც იხდიდენ სასჯელს პეტერბურგში ვიბორგის მოწოდების თაობაზე, გაანთავისუფლეს ციხიდან. ადმინისტრაციამ მიიღო ყოველნაირი ზომები, რომ დეპუტატების განთავისუფლების დრო არ გაეგებინებია არამც თუ ფართე საზოგადოებისთვის, არამედ მათ ე. ი. დეპუტატების მახლობელ ნათესავებისთვისაც. უკანასკნელთ ადმინისტრაციამ განუცხადა, რომ დეპუტატებს გაანთავისუფლებენ დილის 9—10 საათზე, გაანთავისუფლეს კი დილის ექვს საათზე.

— ქ. ოდესაში განაახლეს ებრაელებზე თავდასხმა. 5 აგვისტოს საადარაკო ადგილ „ლანჟერონში“ რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაესხა იქ მცხოვრებ ებრაელებს. ესენი ჯერ გაჩხრიკეს და მერე აუტეხეს სროლა. ებრაელების მხრივ არიან დაჭრილები. დამცემთაგან დაიჭირეს რამდენიმე კაცი. ყველა ისინი აღმოჩნდენ არ-ხანგელ მიხეილის კავშირის წევრები.

— პიატიგორსკში პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო სტამბა. ბევრი დააპატიმრეს, მათ შორის ქალებიც.

—კიევის ლუკიანოვის ციხეში 203 კაცი არის ავათ სახადით.

— ქ. რიბინსკის ადგილობრივ საბავშვო თავშესაფარში, ექიმების შემოწმებით, 11 პატარა ქალი 8—12 წლამდის აღმოჩნდა გაუპატიურებული. ქალებს დაუსახელებიათ ამის მიზეზათ თავშესაფარის დირექტორი, 65 წლის მოხუცი, საგუბერნიო ექიმი, მაკაროვი. რადგანაც უკანასკნელი დროებით პეტერბურგშია წასული, სასამართლო გამომძიებელს განკარგულება მოუხდენია დაუყოვნებლივ დააპატიმრონ მაკაროვი და მოიყვანონ რიბინსკში.

— სიმფეროპოლში სამართალში მისცეს მღვდელი პრიხოდკო 14 წლის მოსამსახურის გაუპატიურებისათვის.

— ამ ცოტა ხანში პოლიციელებმა ქ. პეტროკოვში დაიჭირეს ერთ მოედანზე ჩამოვარდნილი აერონავტი რამდენიმე კაცით. გაშინჯეს ყველანი. უპოვეს მაშინკა, რომლითაც, მათის სიტყვით, განაგებდენ აერონავტს. გამოირკვა, რომ მაშინკა წარმოადგენდა პატარა ფოტოგრაფიულ აპარატს. პოლიციამ აერონავტები დაპატიმრა, ფოტოგრაფიული აპარატი კი გაგზავნა სამხედრო უწყებაში იმის გამოსარკვევათ, თუ რა მიზნისთვის ჰქონდათ აპარატი აერონავტებს. უკანასკნელნი პრუსიელებია. ეს მეორეთ დაიჭირეს პეტროკოვის რაიონში აერონავტი.

— ტამბოვის გუბერნატორს დაუგზავნია ცირკულიარი, სადაც ის იუწყება, რომ არავითარ შემთხვევაში ტოლსტოის იუბილეის გამართვას საზოგადოებრივ ხასიათს არ მისცემს. ეკრძალებათ მიიღონ მონაწილეობა იუბილეიში სახელმწიფო დაწესებულებებს და სასწავლებლებს, რადგან ტოლსტოი ეკლესიიდან განდევნილია და მისი ნაწერები სახელმწიფო მშვიდობიანობის წინააღმდეგიაო.

ოსმალეთი.

როგორც თვითონ სტამბოლში, ისე სხვა დიდ ქალაქებში არსდება კომიტეტები, რომელთა დანიშნულება იქნება ნივთიერი დახმარება გაუწიოს სპარსეთის კონსტიტუციონალისტებს. ზოგ კომიტეტმა უკვე დაიწყო მოქმედება; თავიდანვე ჩანს, რომ ამ მიზნისთვის დიდ-ძალი ფული შეგროვდება. ყოველ კომიტეტში შედის ერთი სპარსელი. ამხანათ სტამბოლში გამოქცეული სპარსელი ბევრია; ოსმალნი დიდ თანაგრძნობას უწევენ მათ: სადაც კი ვინმე სპარსელი გამოჩნდება დიდი პატივით ეგებებიან მას.

— ოსმალეთის საზოგადო სამუშაოთა და ვაჭრობის ახალმა მინისტრმა გაბრიელ-ეფენდიმ შეიმუშავა ოსმალეთის მრეწველობის განვითარების ვრცელი პროგრამა; გაბრიელ-ეფენდი ოსმალეთის მრეწველობის აყვავებას უცხოეთის კაპიტალის საშუალებით ფიქრობს. „ეს იქნება ოქროს გასაღები ოსმალეთის ბუნების სიმდიდრისაო“, უთქვამს მას საფრანგეთის ერთ ჟურნალისტისათვის. გაბრიელ ეფენდის პროგრამას ჯერ მინისტრთა საბჭო განიხილავს და თუ მოწონებული იქნება, შემდეგ გადაეცემა პარლამენტს დასამტკიცებლათ.

— ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს აღუძრავს საკითხი იმ კანონების შემუშავებაზე, რომლებიც შეეხება უცხოეთის წარმომადგენლებს—მრჩეველებს. ახალგაზდა ოსმალნი ფიქრობენ ამით ევროპის სახელმწიფოთა თანაგრძნობის განმტკიცებას.

— ახალგაზდა ოსმალთა პროგრამის ერთი მუხლი დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს საზოგადოებაში. სახელდობრ ის მუხლი, რომელიც შეეხება სკოლურ განათლების მოწყობას. ამ მუხლში ბოლგარები ხედავენ თავიანთი ნაციონალურ უფლების შელახვას. პრესა აფრთხილებს ახალგაზდა ოსმალთ ამ მხრივ და ურჩევს აერიდონ შოვინიზმს და წრეს გადასულ ცენტრალიზმს.

— რუსეთის წარმომადგენელმა ზინოვიევმა ინახულა 7 აგვისტოს დიდი ვეზირი ოსმალეთისა ქიამილ-ფაშა და გარეშე საქმეთა მინისტრი თევფიკ-ფაშა, რომელთაც განუცხადა, რომ რუსეთის მთავრობა დიდათ თანაუგრძნობს ოსმალეთში ახლათ შემოღებულ რეჟიმს და წინადადებას აძლევს უცხოეთის სახელმწიფოებს, რომ მაკედონიის რეფორმები მიენდოს თვით ოსმალეთს და შეჩერებულ იქნას ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევა; მარა ამასთან რუსეთი ხელს არ აიღებს თავის პროექტზე და წინადადებას მისცემს ევროპას განახორციელოს ის იმ შემთხვევაში თუ ოსმალეთი თვითონ არ შემოიღებს რეფორმებს მაკედონიაში.

— ემირ-მექქიმ არ ცნო კონსტიტუცია.

— გეჯასის ვალმა უარი განაცხადა თავის ვილაეტში კონსტიტუციის შემოღებაზე. ახალგაზდა ოსმალი ექრიმ-ფაშა, ვაკუფების მინისტრი კაბინეტიდან გავიდა. ოსმალეთის გაზეთები სამინისტროს პროგრამით არ არიან კმაყოფილნი, რის გამოც მოსალოდნელია სამინისტროს ახალი კრიზისი.

— მინისტრთა კაბინეტმა გამოაცხადა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება, მოსპოს სპარსეთთან ყოველგვარი უთანხმოება. ოსმალეთის ჯარი უკანვე იქნება გაწვეული და საზღვრების მომწესრიგებლათ დანიშნავენ ახალ დიპლომატს.

— სომხების პროვინციებში ყადები ახალ რეჟიმის შემოღებას არ თანაუგრძნობენ. იტყობინებიან აგრეთვე ქურთების ძლიერ მღელვარებაზე ახალი რეჟიმის წინააღმდეგ. მოსალოდნელია აღელვება მცირე აზიაშიაც. ხმებია: ჯარის მე-4 კორპუსი კონსტიტუციას არ თანაუგრძნობსო. ამნაირათ ქვეყანა მოელის საქმის მეტათ გართულებას და კონსტიტუციის წინააღმდეგ გამოლაშქრებას.

სპარსეთი.

—

თავრიზის საოლქო ენჯუმენმა აცნობა უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და აუწყა ხალხს, რომ შახის მთავრობის ყველა შუამდგომლობათ და ხელშეკრულობათ უცხოეთის სახელმწიფოებთან სესხის შესახებ უკანონოთ ცნობს, ვიდრე სპარსეთში პარლამენტი არ დაიწყებს მოქმედებას. უკანონო სესხისთვის კი ხალხი მომავალში პასუხს არ აგებს.

— შაჰმა რევოლიუციის ციხე-სიმაგრის—თავრიზის წინააღმდეგ დამსჯელი რაზმით თვით სამხედრო მინისტრი—აინ-ედ დოულე გაგზავნა. დოულე მოელოდა თავრიზის ადვილათ აღებას, მარა საშინლათ მოსტყუვდა. მან სათარხანს მხოლოდ 20 მხედარი გაუგზავნა და დამორჩილება მოსთხოვა მუქარით, რომ თუ არ დანებდება ის მიუსევს 6,000 კაცისაგან შემდგარ რაზმს ბატარეიით, რომელიც მას უკან მოყვება. სათარხანი ასეთმა მუქარამ ვერ შეაშინა. მან უმალვე გაანადგურა დოულეს რაზმი და ხელთ იგდო ტყვეთ თვითონ მათი სარდალი დოულეც. ასე რომ დღეს თავრიზი სრულიათ რევოლიუციონერების განკარგულებაშია. წესიერება საუცხოოა. სათარხანის ქარავან-ბანაკის წინ ჩამწკრივებულია ზარბაზნები, რომლებიც მტერს —მთავრობას წაართვეს. რევოლიუციონერებს კარგათა აქვთ მოწყობილი საყარაულო და მზვერავი რაზმები. ასე რომ შაჰის მხედრობას არ ძალუძს მათ მოულოდნელათ თავს დაესხას. სათარხანის ჯარს განუწყვეტლივ ემატება ახალ-ახალი რაზმები—ფიდაები, განსაკუთრებით კავკასიიდან.

ზღვას.

—

ზღვავ, შენ მშვიდათ ხარ და ხმას არ იღებ...
მე კი შენს გულზე მშვიდათ ვნავარდობ,
არ ვეპუები წყნარათ მჩქეფ ზვირთებს
და შენს ვერცხლებრ გულს ვსერავ და ვაპობ.
ხან მარცხნივ მივქრი, ხან კიდევ მარჯვნივ,
დამასრიალებს კოხტათ მე ნავი...
დავტოვე მიწა, შენ მოგებარე,
დავუგდე ხმელეთს დარდი მქეჯნავი.
იქ ვერ გავძელი, მომწყინდა, ზღვაო,
უმოქმედობა და მხოლოდ ძილი,
შენ მოგაშურე, მკაცრ ტალღათ მშობელს,
აღარ დამტოვო შენც, მძლავრო, წბილი.
წამოიჭერი, დასჭექე მთა-ბარს,
ზვირთთა ისრები შორს გადატყორცნე,

ნაპირს ეკვეთე, კლდე შეანგრიე
და მეც მცურავი ხარბათ ჩამკოცნე.
შორს გადმისროლე ჩემს ნავთან ერთად,
ქვსკნელს ჩამძირე, ზესკნელს ამაგდე
და თუ შევშინდე, მძოვრათ ქცეული
ყვავ-ყორანთ კერძათ ნაპირს გამაგდე.
მაშ აბობოქრდი, ბრძოლათ შემქნელო,
მიმოისროლე მკაცრი ზვირთები...
ეგრე პირჩუმი, ფრთებ შეკვეცილი,
გემუდარები, ნუღარ იქნები...
მე მძულს, როდესაც ჩემს ნავის კედლებს
ეშხაპუნები, ეხლები ნელა
და ლურჯ წალკოტში წყნარათ მწოლარე
ქანაობ, როგორც ნაზი ბეპელა.
მე ტალღა მიყვარს, ტალღა ძლიერი,
ქვეყნის შემმძრეელი, ლომებრ მქშინავი...
მიყვარს, როდესაც ელვასებრ გიჟათ
მთა ბარს აწყდება ეს ჩემი ნავი...

ვ. მალაქიაშვილი.

მაღალს წრეში

პიესა ოთხ მოქმედებათ.

არჩილი—32 წლისა.

გრიშა, **კოტე**, **ლევანი** და **მიხაკო**—არჩილის ამხანაგები.

ანეტა—არჩილის საყვარელი—25 წლისა.

ლიზა—22 წლისა.

ნესტორი—58 წლისა, სამსახურს გარეშე მეოფი პოლკოვნიკი და ოლგა—48 წლისა—ლიზას დედამა.

გრიგოლი—58 წლის—ნესტორის მეგობარი.

მარიამი—**გრიგოლის** ცოლი.

ოფიცრები, **მოხელეები**, **ქალიშვილები**, **უმაწვილები**, **სტუდენტები**, **გიმნაზიელები**, **რუსკაბი ქალები**, „**მამაშა**“, „**ტაბიორი**“, **ლოთი** და **მოსამსახურეები**.

მოქმედება პირველი.

სცენა წარმოადგენს ქალაქის სათამაშო კლუბის დარბაზს. მარჯვნით შემოსავალი კარებია. მაგიდების გარშემო მოთამაშენი სხედან, გარშემო ჯგუფ-ჯგუფათ სხვები დგანან ფეხზე. ზოგა დადის. მოძრაობაა. თამბაქოს კომლია და ხმაურობა. მოთამაშეთს შორის აქა-იქ ქალებიც ურევიან. ისმის მთელ მოქმედების დრო, ფულების ჩხრიალი და ყვირილი: сорвалъ, сто, пятьдесятъ пятьсотъ, триста, отвѣтъ, отвѣтъ, двѣсти, отвѣтъ. დრო და დრო სიცილი ისმის. რამდენიმე კაცი მაგიდის გარშემო სხედან. წინ კუთხეში სასმელსა სვამენ. ზოგი მიდი-მოდის.

ერთი. (მიუახლოვდება მეორეს) თუ ღმერთი გრწამთ, ხუთი მანეთი მომეცით და ახლავე დაგიბრუნებთ, ასაღები მაქვს.

მეორე. მოითმინეთ და, როცა აიღებთ, მაშინ ითამაშეთ, რაღა სხვას აწუხებთ?

პირველი. ახლავე დაგიბრუნებთ. ნუთუ რამოდენიმე წუთით ხუთ მანეთზე არ მენდობით?

მეორე. ერთი წუთის მეათასედ ნაწილზედაც ერთ კაპეიკს არ გენდობით (ჩაივლის).

პირველი. (მივა მესამესთან) ხუთი მანეთი მომეცი—ახლავე დაგიბრუნებთ.

მესამე. არა მაქვს.

პირველი. მაშ სამი.

მესამე. არა მაქვს.

პირველი. მაშ ერთი მაინც მომეცით, თუ ღმერთი გრწამთ.

მესამე. (ამოიღებს მანათს) აჰა და მომშორდით თავიდან. (ერთი მოთამაშე ქალალდის ფულს ითვლის გახარებული. მიუახლოვდება სტუდენტი).

სტუდენტი. თქვენ კარგი ფეხისა ამდგარხართ დღეს, ბლომათ მოგიგიათ.

მოთამაშე. (ფულს ჯიბეში ჩაიდებს და ციცათ) არც იმდენი. კასსის ფული გამომყვა და წავაგე, ახლა ისევ ის ამოვიგე მხოლოთ.

სტუდენტი. ოცდახუთი მანათი უნდა მასესხოთ ხვალამდე.

მოთამაშე. კასსის ფული რომ არ იყოს, დიდის სიამოვნებით (მიდის).

სტუდენტი (თვალს გააყოლებს). Тьфу, ты мерзавецъ! ამდენი ფული მოუგია და ოცდახუთ მანათსაც კი არ იძლევა. (მიდის აქეთ-იქით, თითქოს ვისმე ეძებსო, მიატანს ერთს მოთამაშეს თვალს, რომელიც ქალალდის ფულით ხელში მოდის წინ. სტუდენტი წამოეწევა მას).

სტუდენტი. ვლადიმერ ალექსანდროვიჩ! თქვენ დღეს კარგი კუში აგიღიათ!

მოთამაშე. არა უშავსრა.

სტუდენტი ხუთასი იქნება!

მოთამაშე. არა, სამასიც არ არის.

სტუდენტი. რას ლაპარაკობთ! ხუთასზედ მეტიც იქნება,—ხელში აღარ გეტევათ. იცით რა? ხვალამდე ოცდახუთიანი უნდა მასესხოთ.

მოთამაშე. დღესვე უნდა დაურიგო მოვალეებს.

სტუდენტი. ოცდახუთიანი რომ არ მომცეთ, ყელი გამომჭერით. ხვალვე დაგიბრუნებთ უსათუოთ.

მოთამაშე. ღმერთმანი ვალები მაქვს გასასტუმრებელი.

სტუდენტი. ვლადიმერ ალექსანდროვიჩ! ექვსას მანეთამდე ჰკარით და რაღაც ოცდახუთიანის სესხება გეძნელებათ ხვალამდე. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ხვალ დაგიბრუნებთ (მოთამაშე აძლევს ოცდახუთიანს და მიდის), ხვალ უსათუოთ მიიღებთ, უსათუოთ (მოთამაშეებში გაერევა).

ლოთი. (მაგიდას მოსჯდომია და ხშირათ ისხამს ღვინოს, დაცლილ ჭიქას ღონივრათ არტყამს მაგიდაზე, აქეთ-იქით იხედება, თავს აქნევს, ხელებს შლის და

ხშირათ ილიმება) მილიონი! ეეხ, მილიონი! ხა, ხა, ხა, ხა! ორრასი ათასი! ხა, ხა, ხა, ხა! (ღვინოს ისხამს და სვამს) ორრასი ათასი, ორრასი ათასი! ხა, ხა, ხა, ხა! (ადგება ბარბაცით და მიუახლოვდება ერთ მოთამაშეს) არ გინდათ მოიგოთ ორრასი ათასი? ხა, ხა, ხა, ხა! ორრასი ათასი, გესმისთ! ორრასი ათასი! (თითს შუბლზე მიიდებს და ბარბაცით გამოტრიალდება უკან, დაჯდება ისევ მაგიდასთან და სვამს) ეეი, ღვინო, ღვინო! (მოდის მოსამსახურე ბოთლით, გახსნის და წინ უდგამს) არ გინდა ორრასი ათასი? ხა, ხა, ხა, ხა! ორრასი ათასი! გესმის, რა ფულია ორრასი ათასი? (მოსამსახურე მიჩერებია, შემდეგ ცალიერი ბოთლი მიაქვს და გადის) ხა, ხა, ხა, ხა! მე კი მოვიგებ ორრასი ათასს! ღმერთმანი მოვიგებ! დავსვამ ორმოცდაათი ათასს, მერე ასი ათასს, ღმერთმანი დავსვამ და მოვიგებ ორრასი ათასს! ხა, ხა, ხა, ხა, ტაბლო! ორრასი ათასი, ტაბლო! (დალევს ღვინოს, შემდეგ მაგიდაზე თავს დასდებს და დაიძინებს. კარებიდან შემოვა ორი ყმაწვილი, მიიხედ-მოიხედავენ, წინ წამოიწევიან).

პირველი. ვერა ანტონოვნას ჰხედავ?

მეორე. (აქეთ-იქით იხედება) სად არის?

პირველი. (ანიშნებს) აი იმ კუთხეში.

მეორე. (გაიხედავს) ვხედავ, ვხედავ. აი ერთი ეგ ჩამაგდებია ხელში!

პირველი. გუშინწინ ერთი სიტყვა გადავუკარი და კინაღამ კუდით ქვა არ მასროლია! პატიოსანია.

მეორე. რა შვილია! ჯერ არ დასცხომია, თორემ გამოაჩნდებოდა, რაც პატიოსანია.

პირველი. მართალია, კარტი ძალიან მოსდის.

მეორე. ერთი ზედიზედ წააგოს ორჯერ და მერე ასიანით ჩავიგდებ ხელში.

პირველი. ეგ კი დიდი ტყუილი მოგვიდა. მე ორასიანსაც არ დავიშურებ.

მეორე. იცი, რას გეტყვი? ჩავიჭიროთ როგორმე.

პირველი. როგორ?

მეორე ვეთამაშოთ შენებურათ. (გვერდში ხელსა ჰკრავს და იცინიან) თუ ერთი ორჯერ ზედიზედ წააგო, იცოდე, მერე ჩვენია.

პირველი. მაშ ვცადოთ!

მეორე. რატომაც არა! ცდა ბედის მონახევრეა. (მიდიან და ხალხში ერევიან. გამოიცვლიან სტუდენტი და ყმაწვილი).

ყმაწვილი. ესეც შენი ვახშამი (იცინის).

სტუდენტი. (დაღონებული) ნეტავი შენ, რომ სიცილის გუნებაზე ხარ.

ყმაწვილი. შენა სტირი და მეც ვიტირო?

სტუდენტი. ოთახის ქირა მაინც გამესტუმრებია. დიასახლისი აღარ დამაყენებს ოთახში.

ყმაწვილი. შენ რომ თამაშობ, ჩემო ძმაო, ისე თაბაში არ შეიძლება. ისეთ კარტზე ჩადიოდი ფულს, რომელიც ვერას გზით ვერ მოიგებდა.

სტუდენტი რაღა ჩემმა ვეღარ მოიგო! სამჯერ იგებდა ზედიზედ ის კარტი.

ყმაწვილი. საქმეც მაგაშია, რომ სამჯერ მოიგო ზედიზედ. აქედან უნდა გცოდნოდა, რომ მეოთხეთ მოგება საეჭვო იყო. მართლა და სულ ერთს ხომ არ მიადგებოდა კარტი ბრმასავით. მოვა რამდენჯერმე, ისევ გატრიალდება.

სტუდენტი. ასეა თუ ისე მთელი ერთი თვე უკაპეიკოთ უნდა ვიყო. ამისი მამგონი ამოვარდა.

ყმაწვილი. არა გიშავსრა. აწი უფრო ფრთხილათ ითამაშებ.

სტუდენტი. აწი! აწი! ამ ერთ თვეს რაღა ვუყო? პურის ფულიც კი არა მაქვს.

ყმაწვილი. შე მამაცხონებულო! რამდენჯერ მითქვამს: როცა მოგვივა ფული, იყიდე ჩაი, შაქარი, ერთი თვის წინდაწინ მიეცი მეპურეს რამოდენიმე მანათი და შემდეგ სულ რომ წააგო, ჩაი და პური მაინც გექნება მეთქი!

სტუდენტი. იცი, რას გეტყვი? მამაჩემს ტელეგრამა უნდა მისწერო.

ყმაწვილი. შენი შვილი კლუბში ჩაეწერა-თქო? (იცინის).

სტუდენტი. ავათ არის ძალიან და ფულია საჭიროთქო.

ყმაწვილი. (სიცილით) ეს ადვილია, მაგრამ თუ ხვალვე გავაგზავნეთ, ეჭვს აიღებს. ამ რამოდენიმე დღეს მე შეგინახავ და მერე გავაგზავნით? Нико боленъ, вышли еще—რამდენი?

სტუდენტი. пятьдесятъ, მაგრამ вышли კი არა, переведи по телеграфу.

ყმაწვილი. ვაი თუ ისიც აქ ჩატოვო მალე. იცი, მე სამი მანეთი მაქვს ჯიბეში. გინდა, წავიდეთ ვახშამი ვჭამოთ; გინდა ვითამაშოთ.

სტუდენტი. შე ოხერო! აქამდინ სად იყავი? რა დროს ვახშამია, იქნება ცოტა მაინც ამოვიგოთ. წამო, ბედი ვცადოთ (მიდიან, ცოტა ხნის შემდეგ წინ გამოვა ახალგაზდა ქალი, დაღონებული მიდი-მოდის და შემდეგ ჩამოჯდება).

ქალი. ღმერთო ეს რა მომივიდა? ასე საძაგლათ არასოდეს არ მითამაშნია. მთელი თვის სახარჯო ფული და ბანკში შესატანი სულ წავაგე... ეს რომ ჩემმა ქმარმა გაიგოს, ჩვენი ცოლქმრობა გათავდა. არა და ხვალ უკანასკნელი ვადაა, რა შევიტანო ბანკში? მზარეულს რა მივსცე?.. ვის გამოვართვა, რა ვისაშუალო? ვინ მომცემს? როგორ ვიფიქრებდი, თუ ასე გატრიალდებოდა კარტი ჩემი ხელიდან. (გამოჩნდებიან ორი ყმაწვილი. ქალს მიჩერებიან).

პირველი. თუ ჩავიგდე ხელში, ახლა ჩავიგდე. შენ რამდენი გაქვს ფული?

მერე. ოთხასი.

პირველი. მეც ექვსასი, საკმარისია. აბა მომეცი.

(მეორე ჯიბიდან იღებს ფულს და აძლევს). ამაღამ ხომ არ დაგჭირდება?

მეორე. არა. ხვალ აქ ვიქნები და მომიტანე.

პირველი. უსათუოთ. ხუთასი მანათი წააგო, გესმის? ხუთასი. ასე საძაგლათ ჯერ არ უთამაშნია. მერე ქმარმაც არ იცის, რომ ეგ აქ თამაშობს; მაშასადამე იმას ვერ გაუმხელს. ფული მაგისათვის ფრიათ საჭიროა, როგორც ეტყობა, და მგონია, ველარ დამისხლტება ხელიდან. წარმოიდგინე, რამდენი ხანია, მე მაგას უკან დავსდევ. Не дается стерва. თუმცა კარტის თამაში უყვარს, მაგრამ სხვებ პატიოსანი ქალია,—ახლოს არ წამიკარა.

მეორე. სრული დარწმუნებული იყავი, რომ ახლაც მშრალათ დაგტოვებს.

პირველი. ვნახოთ. რაც უნდა იყოს, ბედი ჩემსკენ არის და მომენტი საუცხოოა.

მეორე. მაშ სცადე. გისურვებ სრულ გამარჯვებას, თუმცა ძალიან მეეჭვება. მე კი წავალ ახლა.

პირველი. ნახვამდის. (მეორე ხელს ართმევს და მიდის. პირველი გაივლ-გამოივლის, შემდეგ ქალთან მივა). საღამო მშვიდობისა ელენა ივანოვნა! რას დადაფიქრებულხართ?

ქალი. (ხელს ართმევს) როგორ რას დავფიქრებულვარ,—ერთი კარტი არ მომსვლია დღეს, ერთი.

ყმაწვილი. სულ ხომ თქვენ არ უნდა მოგვიდესთ? ხან თქვენ მოგივათ, ხან სხვას.

ქალი. წარმოიდგინეთ, ხუთასი მანათი წავაგე ხელათ, ხუთასი მანათი. ასე სულელურათ არასოდეს არ მითამაშნია.

ყმაწვილი. ხან მოიგებთ, ხან წააგებთ. კარტმა ასე იცის.

ქალი. ნეტავი ახლა დამაღწევია ამ მდგომარეობიდან თავი და პირობას დავსდებ, რომ კლუბში ფეხი აღარ შემოვდგა.

ყმაწვილი. ხვალაც აქ გნახავთ; ზეგაც. მიჩვევა ადვილია, გადაჩვევა კი ფრიათ ძნელი. (სიჩუმეა. ყმაწვილი უსტვენს, ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი ცალ ქუსლზე ტრიალობს და თან ქალს მიჩერებია) სამაგიეროთ მე დღეს ათასი მანათი მოვიგე და ახლა კი დროა, რომ წავიდე, თორემ, თუ კიდევ დავიწყე თამაში, სულ წავაგებ. ნახვამდის, ელენა ივანოვნა (ხელს უწვდის, ქალი ხელს ართმევს, მაგრამ არ უშვებს და მისჩერებია).

ქალი. პაველ ნიკოლაევიჩ, მართლა ათასი მანათი მოიგეთ დღეს?

ყმაწვილი. ვის უნდა მოვატყუო!

ქალი. მიქენით სიკეთე. ხუთასი მანათი მასესხეთ.

ყმაწვილი. ერთის პირობით: წავიდეთ ნომერში და იქ მიიღებთ ფულს.

ქალი. (ხელს გაუშვებს) Нахалъ!

ყმაწვილი. როგორც გენებოსთ (თავს უკრავს და ნელის ნაბიჯით მიდის).

ქალი. (დაუძახებს) პაველ ნიკოლაევიჩ, პაველ ნიკოლაევიჩ!

ყმაწვილი. (მოტრიალდება) რას მიბრძანებთ?

ქალი. თქვენთვის არაფერია, რომ მასესხოთ და მეკი მეტათ უხერხულ მდგომარეობიდან გამომიყვანთ, გაჭირვებიდან დამიხსნით. ნუთუ გაჭირვებაში ხელი არ უნდა გაუმართოთ თქვენს კარგს ნაცნობს და ისიც ქალს?

ყმაწვილი. მე მზათ გახლავართ, დიდის სიამოვნებით; მხოლოდ თქვენ არა გნებავთ, გამლანძღეთ კიდეც.

ქალი. როგორ არა გრცხვენიათ! ხუმრობით რასაც გეტყვით, განა უნდა გეწყინოთ?

ყმაწვილი. თუ გნებავთ, მობრძანდით და ფულს მიიღებთ,—მე მზათ გახლავართ.

ქალი. თქვენ ნამეტანს თხოულობთ.

ყმაწვილი. სულ ცოტას, ელენა ივანოვნა! (საათს დაჩერებია) ჩვენ ერთათ გავატარებთ ორ სააათს, ვივახშმებთ და თორმეტ საათზედ თქვენს სახლშივე იქნებით.

ქალი. ეს როგორ შეიძლება! რომ დაგვინახოს ვინმემ, ან გაიგოს, ხომ მომეჭრა თავი! რატომ არ შედიხართ ჩემს მდგომარეობაში?

ყმაწვილი. ელენა ივანოვნა! თქვენ მაგისი დარდი ნუ გაქვთ. ისე წაგიყვანთ და გამოგიყვანთ სასტუმროდან, რომ ვერავინ ვერ გაიგებს და ვერც ვერავინ შეიტყობს.

ქალი. როგორ შეიძლება? ლაქიები ხომ დაგვინახავენ?

ყმაწვილი. მერე რა ვუყოთ, რომ დაგვინახავენ? ვახშამს მოვითხოვთ ცალკე ოთახში, ვითომც თქვენ ცოლი ხართ და მე ქმარი,—მორჩა და გათავდა.

ქალი. (ფიქრობს) არა, არა, არ შემიძლია!

ყმაწვილი. ნება თქვენია (მიდის).

ქალი. (უძახის) პაველ ნიკოლაევიჩ! (ყმაწვილი მობრუნდება) რა შეუბრალებელი ხართ!

ყმაწვილი. მეკი არა თქვენა ხართ შეუბრალებელი, თქვენ, ელენა ივანოვნა.

ქალი. (ყოყმანით) წავიდეთ, მაგრამ ჯერ მე წავალ და იქ, ქუჩაში მოგიცდით.

ყმაწვილი. ძალიან კარგი.

ქალი. (ადგება) მალე კი წამოდით.

ყმაწვილი. ახლავე (თავს უკრავს და მიდის ხალხში).

ქალი. ღმერთო ჩემო! უცხო კაცთან ერთ ნომერში! ეს ხომ ქმრის ღალატია. (თვალებზე ხელებს მიიფარებს და შემდეგ ჩამოიღებს) აღარასოდეს, აღარასოდეს აღარ გამეორდება ეს ჩემს სიცოცხლეში (გადის).

ყმაწვილი. (გამოტრიალდება უკან) ხა, ხა, ხა, ხა, (გულში ხელს ჩაიკრავს) ყოჩაღ ბიჭო! სამი თვეა უკან დაგდევ და ახლა ხომ ჩემი იქნები. (მიდის ჩქარა გასავალ კარებისაკენ. მოისმის: триста, двѣсти, отвѣтъ, двѣсти, пятьсотъ, отвѣтъ, отвѣтъ).

ლოთი. (გამოიღვიძებს) ასი ათასი, ორრასი ათასი, ხა, ხა, ხა, ხა! რომ მინდოდეს, ახლავე მოვიგებ ორრ-

ასი ათასს, ახლავე! რა არის ორრასი ათასი, მილლიო-
ნი, მილლიონი? (ბოთლს აიღებს და დაწურავს ჭიქაში)
ეი, ღვინო, ღვინო! (მოაქვს მოსამსახურეს ღვინო, ხსნის
ბოთლს და ცალიერი მიაქვს) ღვინო, აი მესმის ორრასი
ათასი, ორრასი ათასი სისულელეა! მილლიონი. ეს უნდა!
ღვინო კი, ღვინო! (დაისხამს და დალევს, შემდეგ ჭიქას
დაარტყამს) ბრრრ. (თავს გაიქნევს, ადგება, ხელებს
ჩაიქნევს და გადის. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოდის
არჩილი, მიხაკო და ლევანი.) აა, კნიაზ არჩილ, კნიაზ
არჩილ! (ისმის ხმები არჩილის შემოსვლაზე. გაივლ-
გამოივლიან და შემდეგ მოთამაშეებში გაერევიან), კნიაზ
არჩილ, ჩვენთან მობრძანდით, კნიაზ არჩილ, ჩვენთან.
(ისმის ხმები. ისმის ისევ ფულების ჩხრიალი და ჩვეულე-
ბრივი ხმები: сто, триста, отвѣтъ, двѣсти, отвѣтъ,
და სხვ. თამაში გრძელდება რაოდენიმე ხანს, შემდეგ
გამოჩნდებიან წინ არჩილი, მიხაკო და ლევანი).

არჩილი ისე წავაგე ხუთასი მანათი, რომ კაპეიკი
აღარ დამრჩენია.

ლევანი. როგორ შეიძლება აგრე თამაში?

მიხაკო. შენნაირი სტავკები მე არ მინახავს.

არჩილი. სხვანაირათ თამაში მე არ შემიძლია. თუ
ითამაშო, ბარემ ისე უნდა ითამაშო, რომ გემო ჩაატანო,
თორემ სულ არ ღირს თამაში.

მიხაკო. ამიტომაც წააგე ასე ხელათ ხუთასი მა-
ნათი.

არჩილი. არაფერია! ბევრი ამისთანა წამიგია, მაგ-
რამ ისევ ეს არჩილი ვარ.

(ერთი მაგიდიდან ისმის შეზარხოშებული კაცის ხმა).

ხმა. კნიაზ არჩილ, აი მე ჩამოვდივარ. (ლონივრათ
დააგდებს მაგიდაზე ქაღალდის ფულის შეკრულ კონას)
იმედია, კარტს აიღებთ. (სიჩუმეა) კნიაზ არჩილ, პასუხს
ველი. (სიჩუმეა. მოთამაშენი ფულის კონას თვლიან.
пятьтысячъ—იძახის ერთი). კნიაზ, რას გაჩუმებულ-
ხართ? (არჩილს თანდათან გაბრაზება ეტყობა) ხა, ხა,
ხა, რას გაჩუმებულხართ, კნიაზ? თუ არა გაქვთ, მით-
ხარით და გასესხებთ.

არჩილი. მასესხე (სწრაფათ წავა იმისაკენ და სილას
გაარტყამს. შეიქნება ჩოჩქოლი. ყველა ზეზე წამოხტება.
ზოგი არჩილს მიეხვევა, ზოგი შეზარხოშებულ მოთა-
მაშეს).

შეზარხოშებული მოთამაშე. ამას არ გაპატიებთ.

არჩილი. მერზავეც! გაჩუმდი, თორემ სულ კბი-
ლებს ჩაგამტვრევ. (მოჩხუბარნი აქეთ-იქით მიჰყავთ.
კლუბის ზედამხედველი შემოვა და მივა არჩილთან).

ზედამხედველი. კნიაზ! უკაცრავათ კი გახლავართ,
მაგრამ ოქმი უნდა შევაყენოთ, კანონი გვავალებს.

არჩილი. ოქმი კი არა თუ ამისთანა ვირებსა და
გახეთქილებს აქ სიარული არ აუკრძალეთ, ისეთს სკან-
დალს მოვახდენ, რომ სიზმარშიაც არ გზმანებოდეთ.
(ზედამხედველი თავსა და ხელებს გააქნევს და მიდის).

ლევანი . ახია მაგისთანა ვირზე.

მიხაკო. ძალიანი სილა კი მიიღო.

არჩილი. დიდხანს კი მოვუთმინე, მაგრამ იმდენი
ჰქნა, რომ სული ყელში მოიყვანა. ამახ იქით ჭკუას
ისწავლის. (არჩილს შემოუერთდება ექვსიოდე ყმაწვილი).
იცით, რა, ყმაწვილებო! ხელი მექავებოდა და მოვიფ-
ხანე. ახლა ყელი მეფხანება და წავიდეთ, ერთი ჩვენე-
ბურათ წავიქეიფოთ! ლევან! თქვენ წინდაწინ წადით
და შენ დაამზადებიე შენებურათ. მეც ახლავე მოვალ
ჩემი კუცკა-მუცკათი (მიდის).

ლევანი. ძალიან კარგი, ძალიან კარგი! აბა ჩვენ
წავიდეთ და დავამზადოთ ყველაფერი. რა გოგოა, ის
შეჩვენებული! (გადიან ნელ-ნელა. სხვები თამაშობენ.
ისმის ფულების ჩხრიალი და ჩვეულებრივი ძახილი:
отвѣтъ, триста, пятьсотъ, отвѣтъ, двѣсти, отвѣтъ,
отвѣтъ, триста, сто, четыреста).

(ფარდა ნელა-ნელა ეშვება)

განი

(შემდეგი იქნება)



ნერონის დროის ცირკში.

(ვუძღვნი შ—ნიკას)

— —

ზოგიერთსავით გიჟურ სიყვარულს
არ აჰყოლია ჩემი ოცნება,
მიყვარხარ მისთვის, რომ შენში ვპოვე
ადამიანი—პატიოსნება.

— —

ვერ გამაკვირვებს შენი სიტურფე
და ვერც მომხიბლავს ეგ შენი სახე,
მიყვარხარ, რადგან ბეჩავ ხალხისთვის
ერთგულად შრომა შენ დაისახე!

— —

მაშ, მეგობარო, მეც შენთან ერთად,
ერთად ვატაროთ წამების ჯვარი;
სიმართლე დავსვათ ცხოვრების მიზნათ
ნუ დაგვერქმევა სიცოცხლით მკვდარი!

იონა თლუღელი.

ამერიკელ სოციალისტების პარტაიტაგიდან.

(დასასრული. *)

დიდი აზრთა წინააღმდეგობა და კამათი გამოიწვია მეორე, პარტიისათვის დღევანდელ სოციალ-პოლიტიკურ პირობების მიხედვით არა ნაკლებათ მნიშვნელოვანმა საკითხმა, სახელდობრ—როგორი პოზიცია უნდა დაიკაოს პარტიამ, ამ უკანასკნელ დროში ძლიერ გაძლიერებულ, მასიურ გადმოსახლების მიმართ. ეხლაც ამ კითხვის გადაწყვეტის დროს პარტაიტაგი ორათ გაიყო. კითხვა მარტივათ იყო დაყენებული: მისაღები არის ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონგრესის მიერ შტუტგარტში გამოტანილი გადაწყვეტილება გადასახლ-გადმოსახლების შესახებ ჩვენთვის, თუ ის უვარგისათ და შეუწყნარებლათ უნდა იქნას აღიარებული დღევანდელ პირობათა მიხედვით? ერთი ნაწილი დელეგატებისა,—მათ შორის ნეგრი დელეგატიც,— შტუტგარტის რეზოლიუციის მხარის დაჭერას და მიღებას ურჩევდა კრებას, მეორე კი იმ აზრისა იყო, რომ სანამ პარტაიტაგი რაიმე საბოლოო დადგენილებას მიიღებს, საჭიროა ამ კითხვის ადგილობრივათ დაწვრილებით შესწავლა და გამორკვევა, რომ მით პარტიამ არა სასიამოვნო შეცდომები და ცოდვები თავიდან აიშოროს და პირნათლათ შეხედვა შეეძლოს იმათთვის, ვისიც ინტერესების დასაცავათაც ის მოწოდებულია. სწორეთ ამგვარი რყევა და გადაწყვეტილება გამოსჭვივის მიღებულ რეზოლიუციაშიაც, რომელიც აქვე სავსებით მომყავს:

„სოციალისტური პარტიის პარტაიტაგი აცხადებს, რომ მთავარ საფუძვლათ ბრძოლისა გამყვლეფელ და გაყვლეფილ კლასთა შორის და ძირითად მომენტათ მთელ პოლიტიკურ სოციალისტურ მოძრაობისა უნდა აღიარებულ იქნას ეკონომიური ინტერესები მუშათა კლასისა. თანახმათ ამ პრინციპისა, მუშათა კლასი ვალდებულია მთელი თავის ძალ-ღონით გაილაშქროს ყველა იმ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, რომლებიც მის ეკონომიურ ინტერესებს ეწინააღმდეგება და ემუქრება. მასიური გადმოსახლება ცხოვრების ძლიერ მცირე მოთხოვნილებების მექონე მუშებისა ადვილი შესაძლებელია გადაიქცეს დიდ საფრთხეთ, ადგილობრივ მუშებისათვის, რომელთა კულტურულ-სოციალური განვითარება გაცილებით მაღალია და რომელთა მოთხოვნილებებიც უფრო მრავალი და უფრო განვითარებულია. ამ მუშებისთვის იმ უფლების წართმევა, რომ ნაკლებ მოთხოვნილებების მუშათა გადმოსახლების განზრახვას წინააღუდგეს, იქნებოდა კლასთა ბრძოლის მაღლა ბურჟუაზიულ იდეალის დაყენება. სწორეთ ეს პრინციპია, რომელიც აუცილებლათ გვაიძულებს ჩვენ უარვყოთ და სასტიკათ ვებრძოლოთ იმგვარ გადმოსახლებას, რომელიც ბურჟუაზიულ წრიდან გამომდინარეობს და ხელოვნურათ ძლიერდება. აქვე სოციალისტური პარტია აღნიშნავს, რომ დასახელებული აზრი არ წარმოადგენს რაიმე კანონს, რომლის მიზანია განსაზღვროს და უარყოს გადმოსახლება მხოლოდ რომელიმე ერთ რასის, როგორც ასეთისა.

რასების სხვა და სხვაობის კითხვა, რომლის ასე თუ ისე გადაჭრა ნაციონალურ კონვენტის მიერ უკვე დაწყებულ საქმეში დიდ როლს თამაშობს, და რომელმაც ჩვენ ამხანაგების ერთ ნაწილში კიდეც დაჰბადა აზრი მთელ აზიელების გამორიცხვის საჭიროებისა, აი ეს კითხვა ჯერაც საკმარისათ და ჯეროვანათ გამორკვეული არ არის, რომ ეხლავე პარტაიტაგს რაიმე გადაწყვეტილების მიღება შეუცთომლად შეეძლოს. ამისათვის ჩვენ წინადადებას ვიძლევით, საკითხის მუშათა კლასისათვის დიად მნიშვნელობის გამო, ჯერჯერობით არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს ადგილობრივათ გაცნობა და შესწავლა გადასახლ-გადმოსახლების კითხვისა და დრო გამოშვებით ამ თავითვე თავისი გამოკვლევების პარტიულ პრესაში გამოქვეყნება, რათა ამით თვით პარტია წაქეზებულ იქნას ამ საკითხის შესწავლაზე. ვრცელი საფუძვლიანი მოხსენებაც წარმოდგენილ უნდა იქნას მომავალ პარტაიტაგზე.“

წვრილ გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხს არ გამოუწვევია დიდი კამათი. წარმოადგინეს რეზოლიუციის ორი პროექტი, რომელთა შორის არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ იყო. რეზოლიუცია, რომელიც უმრავლესობისაგან მიღებული იყო,—თუმცა ინდუსტრიალურ ქალაქებიდან წარმომადგენლები მის წინააღმდეგ აძლევდენ ხმას,—შემდეგია:

„სოციალისტური პარტია მიისწრაფვის შენებაღორძინებისაკენ და არა ნგრევა-განადგურებისაკენ, და რადგან ის იცავს წინ და არა უკან მსვლელობას, ამისა-

*) იხ. „ჩვენი კვალი“ № 12

თვის ხდის თავის თავს ვალდებულათ წვრილ გლეხებს დაეხმაროს; პირველყოვლისა დაეხმაროს მით, რომ ნაციონალური სამეურნეო ინტერესები განსაზოგადოებრივებულ იქნას, მაგრამ არა მოგება-ყველფით გატაცებულ პირების, არამედ მომხმარებელთა სასარგებლოთ. ამის და მიხედვით ეხლა ჩვენ ვურჩევთ გლეხობას გაითვალისწინოს და შეისწავლოს სოციალისტურ-კოოპერატიული ეკონომიები წინააღმდეგ ინდივიდიალურ კონკურენციაზე აგებულ მეურნეობისა და არსებობისათვის ბრძოლაში თავისი პოლიტიკური ძალა თავისავე კლასის პარტიას შეუერთოს და შეუკავშიროს. აქვე დაჟინებით ვაცხადებთ, რომ გლეხებისთვის მიწოდება რაიმე სხვისა, გარდა ნაციონალურ სამეურნეო ინდუსტრიების განსაზოგადოებრივობისა, არ იქნება საკეთილდღეო, არ იქნება მისაღები და არ იქნება სოციალისტური".

ეგეთია ზემოდასახელებულ სამი საკითხის შესახებ მიღებული რეზოლიუციები.

მ. მგალობლიშვილი.

პროვინცია

ს. მათხოჯი (ქუთაისის მაზრა). დიდი ხნის გვალვის შემდეგ, როგორც იქნა, გვეღირსა ყველაფერში იმედ-დაკარგულ გლეხებს წვიმა. წვიმამ გვალვისაგან გაყვითლებული ბუნება აამწვანა და ყველაფერი გამოაცოცხლა. მაგრამ სარგებლობასთან ერთათ დიდი ზარალი მიაყენა მთა ადგილზე მცხოვრებლებს. ნიაღვარმა ერთბაშათ წალეკა სიმინდები, წაიღო წისქვილები, დაახრჩო რამოდენიმე სული საქონელი. ადიდებულმა მდინარემ „წხენის წყალმა" იმსხვერპლა ახალგაზრდა 24—25 წლის გლეხი.

ეს მდინარე აგრეთვე დიდ ზარალს აძლევს ჩვენს სოფელს უმეტესათ ზაფხულობით. ეს მდინარე ჩვენს სოფელში დანაწილებულია რამოდენიმე შტოებათ (ერთ კალაპოტში არ მიმდინარეობს), რომლის სიგანე ალაგ-ალაგ უდრის 300—400 საჟენს და ეს საშუალებას აძლევს წყალს თავისუფლათ დაანგრიოს ნაპირის ადგილები. ბევრ მოსახლეთ აყრას უქადის, საჭიროა ოთხ-ხუთ ალაგას დამბის გაკეთება, რომ წყლისგან მოყენებულ უბედურებას ასცდეს გლეხები; მაგრამ რა ვქნათ, ისეც ათასჯერ გაძვალტყავებულმა გლეხებმა? მშველელი აღარსაიდან გვიჩანს! ჩვენთვის არავის სცალია, მხოლოდ გადასახადის ფული კი მიეცეთ და გლეხების ბედნიერება რაში ეჭირვებათ.

კარტის თამაში, ლოთობა, არღანზე ქეიფი, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი ენერგიულათ ებრძოდა მას, მაინც უმაღლეს წერტილამდე განვითარდა.—ასე რომ 8—9 წლის ბავშვებიც თამამათ თამაშობენ. მოთამაშეთა რიცხვს შეადგენს უმეტესათ ახალგაზრდობა...

სამწუხაროა, რომ ახალგაზრდობა, მომავალი ცხოვრების ბურჯნი, რომელმაც უნდა შექმნას საუკეთესო მერმისი, ასეთ, სამარცხვინო და საზიზღარ საქმეზე ხარჯავენ მთელ თავის ენერგიას და თავისუფალ დროს და გონების განვითარებას კი ყურს არ უგდებენ.

მათხოჯელი გლეხი.

— —

ს. მუხაურუა (**სამტრედიის რაიონი**). დღეს ჩვენ სოფელში ხშირათ შეხვდება კაცი ისეთ ოჯახს, რომელსაც ორი-სამი დღის განმავლობაში, გარდა ხილისა, ეჭამოს რამე. ზოგი მამაკაცი სადღაც წასულა ფულის საშოვარათ და შინ ცოლ-შვილი მშიერ-მწყურვალი დაუტოვებია. ხშირათ, ძალიან ხშირათ ოჯახის მამა შინ ხელცარიელი ბრუნდება და ამნაირათ მთელ სახლობას შიმშილით სიკვდილი წინ უდგება, შეუძლებელია ყველა იმ გაჭივრების აწერა, რასაც ღარიბი გლეხები განიცდიან. ბედნიერი შემთხვევით კარგ პირობებში ჩაყენებული, რა თქმა უნდა, აქაც მოიძებნება, მარა, მათ-და სამარცხვინოთ, უნდა ითქვას, რომ ისინი წარმოუდგენელი გულგრილობით უცქერიან ღატაკ გლეხთა ასეთ გაჭივრებას და სიტყვაც არ წამოცდებათ, რომ გაჭივრებულთ დახმარება უნდა. ასეთ „უგულობის" მაგალითს უპირველესათ თვით სულიერი მამები იძლევიან. მათ ხალხის დღევანდელი გაჭივრებული მდგომარეობა სრულიად უყურადღებოთ დატოვეს და დრამის ფულის ასაღებათ სწორეთ ეხლა მიუსიეს მას პოლიცია, თუმცა მათ კარგათ იციან, რომ დღეს მათი მრევლი უსიმინდობით შიმშილით იხოცება.

მღვდლის დრამის გარდა ამ საზოგადოებას შეწერილი აქვს კიდევ ექვსი „სტრაჟნიკის" ჯამაგირი. ამ ჯამაგირის ხალხზე გასაწერათ საზოგადოებას ჰყავს რამდენიმე არჩეული პირი, რომელთაც ევალებათ მამასახლისისა და მისი თანაშემწეების თანადასწრებით ხალხს გადასახადი სამართლიანათ გააწერონ. მარა ამ ვაჟბატონებისთვის სამართალი აღარ არსებობს; მათ მომავალი ოთხი თვის ჯამაგირი წინდაწინ ერთათ გაიწერეს. ძნელი მისახვედრი არაა, თუ რა უნდა ჰქონოდათ მხედველობაში ამ ვაჟბატონებს, როცა ასეთ გაჭივრების დროს ამას ჩადიოდენ. ამასთან გადასახადი ყოვლათ უმსგავსათ და გაბუსრჩევლათ არის გაწერილი. შემთხვევით ერთი თანაშემწის სია წავიკითხე, სადაც ორმოც მოსახლეში ოთხი შეძლებული პირი არის გადასახადისაგან განთავისუფლებული და ორის კიდევ, რასაკვირველია, ნახევრათ შემცირებული. ამბობენ, იმ პირთაგან აღებული ფული, რაც სიაში არაა მოხსენებული, გამწერლების საკუთრებას შეადგენსო.

იყო ისეთი შემთხვევა, როცა ერთ გლეხს ფული მოსთხოვეს „სტრაჟნიკის თანხლებით, ის იმდენათ ღატაკი აღმოჩნდა, რომ „სტრაჟნიკმა" თავის ჯამაგირის დაკლება არჩია და გლეხი გადასახადისაგან გაანთავისუფლა.

ამნაირათ, როგორც ხედავთ, ჩვენ თანასოფლელ გამწერლებზე უფრო სინდისიერი და „შემბრალე“ ვილაც შორეული „სტრაფნიკი“ აღმოჩნდა. ყველაფერი ეს ერთ „სამამასახლისოში“,—ორმოც მოსახლეში მოხდა და თუ ამას სხვა ნაწილებს და იქ მომხდარ ამბებს დავუმატებთ, ადვილი მისახვედრია, თუ რა უსამართლობა ბუდობს დღეს მთელ ჩვენ „სამამასახლისოში“.

მუხაყრუელი.

მუშათა ეორის

ფოთი. ცოტა რამ აქაურ ნოქარ-ქარგლებზე. ამ რამდენიმე დღის წინათ, ერთი კვეშირის წევრის წინადადებით შეიკრიბა ფოთელ ნოქარ-ქარგალთა და სხ. და სხ. სახელოსნოებში მომუშავეთა ბრ. კვ. ბიურო და სარევიზიო კომისია. ხსენებული თანამდებობის პირნი არჩეულნი ეფოთელნ წარსულ წლის დეკემბრის დამდეგს. ამ ხნის განმავლობაში გაუმართავთ მხოლოთ ოთხი კრება, რაც ამტკიცებს მათ გულ-გრილობას საქმისადმი. დიახ, მათ ვერ შეუსრულებიათ პირნათლათ ის მოვალეობა, რისთვისაც იყვნენ არჩეულნი. მოკლე კამათის შემდეგ, რადგან ბიურომ უარი განაცხადა, გადაწყდა: აერჩიათ კომისია, რომელსაც უნდა მოეწვიათ საზოგადო კრება საქმის მოსაგვარებლათ. კომისია არჩეულ იქმნა ექვსი კაცისაგან. მეორე დღეს კომისიის კრებაც მოხდა. ითათბირეს, თუ როგორ მოეგვარებიათ საქმე, დანიშნეს საზოგადო კრების დღე და სხ... დანიშნულ დღეს კრება არ შედგა. აგრეთვე ადარ შედგა მეორეთ და მესამეთ. საკურადღებო ის არის, რომ ამ კრებებზე საკმაოთ ადარც ოვითკომისიის წევრები მოდიოდენ და რაც უმთავრესია ადარც ბიურისა და სარევიზიო კომისიისა. რით აიხსნება ასეთი გულ-გრილობა? მე ვიტყვი შეუგნებლობით. მათ არ ესმით რა არის კლასთა ბრძოლა, კლასთა წინააღმდეგობა. მათ უნდათ ხაზეინებთან მაშაშვილური განწყობილებებით გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა; ძალიან ერიდებიან ხაზეინების წყენას ე. ი. საკუთარი, მუშური პოლიტიკის წარმოებას. ასეთია საზოგადოთ დღეს ადგილობრივი ნოქარ-ქარგალთა სულიერი განწყობილება, რაც აიხსნება იმით, რომ ეხლა ტოტალი გაუმჯობესებული პირობები აქვთ. მათ ავიწყდებათ (ნოქარ-ქარგლებს), რომ ეს პირობები სულ მალე შეიცვლება თანახმათ ხაზეინების ინტერესებისა. დიახ, თუ მოპოებულ უფლებებს დარჯათ არ დაუდგებით ის შეუმჩნევლათ გამოგვეცლება. ეს ანბანური შეშარიტება დღეს ყველა მხრის და კუთხის მუშებს აქვთ შეგნებული, გარდა ფოთელ ნოქარ-ქარგლებისა. ეხლა მინდა მითი ეურადღება მიგაქცი შემდეგს: 1907 წ. თანახმათ 15 ნოებრის კანონისა, გამოიცა გუბერნატორის მიერ დამტკიცებული **საგალდებულო დადგენილება**, რომელიც შეიმუშავა ადგილობრივმა შერეულმა კომისიამ. ხსენებული დადგენილება შედგება 16 მუხლისაგან, რომლებიც ავალებენ ნოქარ-ქარგლების ასასრგებლოთ დაბარაკობენ, თუმცა ჯერჯერობით არც ერთი მუხლი არ განხორციელებულა. რა არის ამის მიზეზი? რა და ის, რომ მოპოებულ უფლებებს დაცვა უნდა და ქალაქდაზე დაწერილ კანონებს ცხოვრებაში გატარება, რისთვისაც ჩვენი ნოქარ-ქარგლები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ძალიან სუსტნი არიან. მეთექვსმეტე მუხლის თანახმათ, წასულ წელს მოითხოვეს ნოქარ-ქარგლეემა ადგილობრივი თვითმმართველობიდან მზრუნველების დანიშვნა და თავიანთი კანდიდატებიც წარუდგინეს. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნა. გუბერნატორმა დაამტკიცა მათი კანდიდატები (რაც ეუწყათ ამ უკანასკნელთ). ამ მზრუნველებს შეუძლიანთ სავალდებულო დადგენილება სავსებით გაატარონ ცხოვრებაში, თუ კი მასსა მხარს დაუჭერს და დაეხმარება, წინააღმდეგ შემთ'ვევაში კი ვერაფერსაც ვერ გააკეთებს, და ასეთი, დეგალურათ უფლება აქვს ურგვიდი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა, უნაყოფოთ გაქრება. საკვირველ, ამხანაგებო, მეტი თვითცნობიერება, თუ არ გინდათ ხაზეინების უურ მოჭრილ მონებათ ყოფნა. მზრუნველთა შორის (4 კაცია) ორმა უმეტესობა განაცხადეს თავიანთ თანამდებობაზე. აი ეხლა უნდა ფხიზლობა, მოითხოვოთ პასუხი, თუ რისთვის გაძალგიდგათ და შესაფერი შესაბამი დასდოთ. აგრეთვე მათ მაკიერი კაცები უნდა წარუდგინოთ თვითმართველობას დასამტკიცებლათ. მარტო ორი და ოთხი კაცი ვერაფერს გაგიკეთებთ, თუ თქვენც არ დაეხმარებით.

კაცია მუნჯაძე.

გურიის ამბები.

სოფ. ხევი. კარტი, კამათელი, ნარდი, დუქნებში ქეიფი—ეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა აქ. როცა ხალხის საუკეთესო ნაწილი—ახალგაზდობა—მთელ თავის ენერგიას სწავლა-განათლებას ანდომებს, ამ დროს ადგილობრივი ახალგაზდობა ზემო აღნიშნული საშუალებებით იქცევს თავს დუქნებსა და ტყე-ღრეებში. ეურნალ-გაზეთებს ნაკლებათ ეტანებიან და არც მოდის თუ შემთხვევით არ მოიტანა ვინმემ.

საზოგადოთ, განათლებისათვის არავინ ზრუნავს; სოფლის ის ნაწილი, რომლის მოვალეობასაც ეს შეადგენს, კამათელს აგორებს.

სოფ. აკეთი. ამ დღეებში მოხდა მთელი საზოგადოების კრება. კრებამ, სხვათა შორის, მსჯელობა იქონია კოოპერატიულ დუქნის შესახებ. კრებამ ერთ ხმათ მოიწონა წესდების პროექტი და ამოირჩია კომისია, რომელიც შეუდგება ფულების კრებას. ვუსურვებთ წინსვლას.

სოფ. ზომლეთი. ამ 15 დღის წინათ გაჩნდა საქონლის ჰირი. მოწვეულ იქმნა საქონლის ექიმი, მაგრამ მან ვერაფერი სანუგეშო დატოვა, რადგან ასაცრელი წამალი თან არ ქონდა და მის გამოწერას რა-

მოდენიმე თვე დასჭირდება თურმე. ხალხმა ენერგიული ზომები მიიღო, რომ იმ კუთხიდან, სადაც ჭირია გაჩენილი, არამც და არამც საქონელი არ გავიდეს. ზარალი ჯერ-ჯერობით არ არის იმდენათ დიდი.

ნაგომარი. მოკლეს გურიაში ცნობილი ყაჩაღი გრეკოვი, რომელიც ამ ბოლო დროს გაექცა ადმინისტრაციას და განთქმული იყო თავის ყაჩაღობით. როგორც ამბობენ, გრეკოვი თავისვე „მეგობრებს“ მოუკლავთ რაღაც პირადი მიზეზებით.

დედა,

როგორც აღმზრდელი.

(წერილები მუშა ხალხის დედებისადმი).

თარგმანი გერმანულიდან*) **სვ. კანდ—ისა.**

5.

ნუ შექმნი ხელოვნურ განსხვავებას ვაჟსა და ქალს შორის.

შენი სამი წლის ვაჟს ჩავარდნია ხელში ტიკინი და ტკბილათ და ალერსიანათ მხიარულობს და თამაშობს მით. შენ კი არწმუნებ მას: „ეს ვაჟების საქმე არაა! როგორ შეგიძლია შენ დედოფალათი ითამაშო! ეს მხოლოდ ქალებისათვისაა!“ ან და შენი ქალიშვილი მკვირცხლი და გამბედავია, მას არ ეშინია არავითარ ვაჟის და არც ერთ გაბედულ საჯიბრო ეშმაკობას არ გაუდგება განზე. ეს გარეული კატუნია ვაჟთა შორის შესანიშნავ კმაყოფილათ გრძნობს თავს; გაქცევის დროს, მას ვერავინ გაასწრებს სირბილში. მაგრამ შენ კიცხავ მას: „ფუი, გრცხვენოდეს, ველურო გოგოვ! განა ეს საკადრისია ქალიშვილისთვის?!“ რატომ ექცევით ასე? არ იტანჯები შენ თვითონ საკმაო მძიმეთ ათას წლების განმავლობაში ქალების დამჩაგვრელ შევიწროებით? არ იბრძვი დანარჩენ პროლეტარ ქალებთან ერთად ქალების უფლებრივ გათანასწორებისთვის? და თუ ასეა, მაშინ ხელს ნუ უწყობ იმ სამუშაოების ხელოვნურ განსხვავებას, რომლებიც, როგორც ეძახიან—ერთნი მხოლოდ ქალებისთვისაა და მეორენი კი მხოლოდ მამაკაცებს. შეეფერება, მაშინ ნუ აღზრდი შენ ბავშვს ძველ და ცრუ მორწმუნეობის მიხედვით. ნება მიეცით ვაჟებს და ქალებს ერთად ითამაშონ და იმუშაონ, რომ ისინი ერთ დროს კარგი თანამგრძნობი და ამხანაგები შეიქმნენ.

6.

შენ ბავშვებში არც ერთს არ მისცე უპირატესობა.

შენი უმცროსი შვილი დაიბადა განსაკუთრებით ტკივილებში და შენ განსაკუთრებით გიყვარს ეს პატარა არსება. სანამ იგი უშემწეო მდგომარეობაში იმყოფება და შენ მას განსაკუთრებით სჭირიხარ, შენც შეგიძლია განსაკუთრებული ალერსით და მოვლით მოეპყრა მას, დანარჩენი შენი შვილებიც ხელს შეგიწყობენ ამ ზრუნვაში. თავის ბრწყინვალე თვალებით ისინი გარშემოუდგებიან ახალ დაბადებულს და მთელ თავის გამოუდელ სიყვარულს მოანდომებენ, რომ პაწია ძამიკო გაამხიარულონ. მაგრამ როცა უმცროსი გაიზრდება, დაიწყებს ლაპარაკს, სირბილს და აზროვნებას, როცა განსაკუთრებით არ იქნება შენზე დამოკიდებული, როცა ის უკვე უნდა გაერიოს თავის და-ძმებში და მან უნდა ისწავლოს მათთან ერთობა, აი იმ დღიდან შენ უნდა ერიდო რაიმე განსაკუთრებულ და აშკარათ განსხვავებულ ალერსით გაარჩიო ის სხვებისაგან. ბავშვებს აქვთ ზედ-მიწევნით განვითარებული გრძნობა სიმართლისა და უსამართლობის გასარჩევათ. ისინი სულ უბრალო რამეს ადვილათ მიიჩნევენ გულ-ცივობათ, თუმც შენ ეგ სრულებით არ გაგეცვლოს გულში. ადვილათ შესაძლებელია დანარჩენმა შენმა შვილებმა ალმაცერათ და შურით დაუწყონ ყურება შენს განსაკუთრებით საყვარელ ბავშვს, თვითონ საყვარელი ბავშვი კი ადვილათ ჩავარდება განსაცდელში თავისი თავი გადამეტებულათ დააფასოს, სხვებზე უკეთესათ ჩათვალოს, თავისთვის ყოველთვის უკეთესი კერძი და უკეთესი ადგილი მოითხოვოს. ხოლო ეს კი ისეთი თვისებაა პროლეტარ ბავშვებისთვის, რაც პროლეტარიატის მომავალ ბრძოლაში არ გამოდგება.

ჰენრიხ შულცე.

იუმორეზითი განმარტება

გაზ. „ხომლის“ მერვე №-ში დაბეჭდილია წერილი, ქვეშ აწერია ან... მე არ მინდოდა, ამაზე პასუხის გაცემა, გადავწყვიტე გაჩუმება, მაგრამ ამხანაგებმა დამარწმუნეს, რომ პასუხი საჭირო არის...

ანი სწერს: „რატომ ასე გავიმეტე დიდი ხნის მეგობარი? რამ გამოიწვია ჩემი „მკაცრი სიტყვები?“ და იგი უპასუხებს: „მან (ე. ი. მე) სარედაქციო კოლეგიის კრებაზე ჩაიდინა დიდათ უზნეო საქციელი: ნამდვილ მიზეზის ალაგას ყალბი მიზეზი წამოყენა, თქვა ის, რასაც არ ფიქრობდა და ფიქრობდა იმას, რასაც არ ამბობდა. ამასვე სჩადის ეხლაც, ნუ თუ ასეთი კაცი საშიშარი არ არის“.

ამის საბუთები? ანი გვიამბობს: „მეც და ყველამ იცოდა, რომ შენიშვნა გაუკეთა ლ. დ. **იმიტომ, რომ**

---

*) იხ. „ჩვენი კვალი“ № 12.

მე ნაციონალიზმს ვებრძოდი, და ეს ასე განგვიცხადა პირადათ იმავე დღეს ლ. დ. რედაქციაში, სადაც ბევრი სხვებიც იყვნენ“. ამ ბევრიდან ნეტა ერთი ადამიანი მაინც დაესახელებინა მოწმეთ—როდის იყო რომ მე ეს ასე განვუცხადე?! ანის მხრივ აქ ხაზ გასმული სტრიქონები არა მარტო სიყალბეა, არამედ აგრეთვე უაზროპაც არის. ანმა კარგათ იცის, რომ მე ნაციონალიზმს ვუწოდებ ბურჟუაზიის ნაციონალურ პოლიტიკას, და სხვა რომ არა ვსთქვა, ს. დ. გაზეთში მაინც არ შემეძლო ამ პოლიტიკის მოსარჩლეთ გამოვსულიყავი. შემდეგ ანი ისე გადმოგვცემს, ვითომ მე „ნაციონალურ გრძნობის“ შესახებ მთელი დავა და კამათი ამეტეხნოს; იგი სწერს: „ლ. დ. **მიმტკიცებდა** მე და სხვებს, რედაქციის მუშაკთ, წერილში „ნაციონალური გრძნობა“ სასაცილოთაა აღებული, მე ნაციონალიზმს ვწამს და სხვა ასეთი“... ანი ვალდებული აყო მოწმეები მაინც დაესახელებინა, მარა ამას ვერ იზავდა, რადგან სიცრუეს ამბობს. ანი განაგრძობს: „ლ. დ. გრძნობდა, რომ რედაქციის სხვა წევრებს ვერ დაითანახმებდა („ნაციონალიზმზე“!? ლ. დ.) და შენიშვნა მოხსნილი იქნებოდა... როცა დარწმუნდა, რომ კოლეგია შენიშვნას უეჭველათ მოხსნის, მან ყოვლად მოულოდნელათ შესცვალა ფრონტი და როგორც კი კერძო სხდომა ოფიციალურ სხდომათ გადაკეთდა, მან განაცხადა: ანის წერილი ნაციონალურ კითხვაში ძლიერ შორს მიდის, ის თხოულობს კულტურულ ავტონომიას, რაც დადგენილებას ეწინააღმდეგებაო და სხ. (ამასავე იმეორებს ახლა ის იქ), ე. ი. დაეყრდნო დადგენილებას, გამოვიდა „ძველი აზრის“ მფარველი, მე გამომიყვანა მის მოწინააღმდეგეთ... მან უარყო ის, რასაც რამოდენიმე წუთით წინ ლაპარაკობდა და წამოაყენა არ არსებული მიზეზი *). მაშასადამე, თუ ანს დავუჯერებთ, გამოდის შემდეგი:

მე ჯერ, თურმე, განმიცხადებია ასე: „ანის სტატიას „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ შენიშვნა გავუკეთე იმიტომ, რომ იგი იცავს „ძველ აზრს“ (დადგენილებას), ებრძვის ნაციონალიზმს, ხოლო მე ამ უკანასკნელს ვეტრფიალები და უარ ვყოფ პირველსა; მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ ამაზე კოლეგიას ვერ დავითანხმებდი, ხელაო ის განცხადება, თურმე უკუღმა შევატრიალე (ე. ი. შენიშვნა გაუკეთე იმიტომ, რომ ანი ებრძვის დადგენილებას, მე კი სწორეთ ამ დადგენილებას ვეტრფიალები და სხ.).. მგონია მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ასეთი სცენა შეიძლება მოხდეს სადმე საგიჟეთში და არა ნორმალურ ადამიანთა შორის, და რაკი ანი სიგიჟეს არავის არა სწამებს, ცხადია, მისი ნაამბობი და მისი განმარტება არ უნდა შეიცავდეს სინამდვილეს.

მართლაც საქმე აი როგორ იყო. სარედაქციო კრების გახსნის უმალვე, რაკი—პირველი სიტყვა მე მეკუთვნოდა—ამხანაგებს განვუცხადე შემდეგი: „სარედაქციო შენიშვნაში ნათქვამია, რომ „ქართვ. ხალ. და ნაც.“-ის ზოგიერთი შეხედულება არ გამოხატავს რედაქციის საერთო აზრს. არსებითად, ეს შენიშვნა სრულიად საფუძვლიანი იქნება მაშინაც, თუნდ რომ მხოლოთ ერთი წევრი არ ეთანხმებოდეს აღნიშნულ სტატიას. და მე (ერთი წევრი) რომ მას არ ვეთანხმები, ეს უკვე იცით, ჩვენ რომ ნაციონალურ საკითხში ერთი აზრის არა ვართ, ეს თქვენ ყველამ ძალიან კარგათ იცით, და ამაზე ეხლა, აქ ლაპარაკი სრულიად მეტია. სარედაქციო შენიშვნაზე კოლეგიის წინააღმდეგობას მით უფრო არ ველოდი, რომ სრული საბუთი მქონდა მეფიქრნა—ჩემს გარდა კოლეგიის სხვა წევრებიც არ დეთანხმებოდნენ **სავსებით** ამ სტატიას, რადგან აქ ერთი ადგილი (ვუჩვენებდი იმ ადგილს, სადაც ავტორი აღიარებდა—ქართველი სოც. დემოკრატია თავის ერისათვის თხოულობს კულტურულ ავტონომიასო) არ ეთანხმება იმ დადგენილებას, რომელსაც **ეს წევრები** (და არა მე) იცავენ.

აი რა იყო მთელი ჩემი ლაპარაკი იმ სარედაქციო კრებაზე. სად არის აქ რაიმე „ჯამბაზობა“? განა ჩემს ადგილას ასევე არ ილაპარაკებდა და ასევე არ მოიქცეოდა ყველა ჭკუათა მყოფელი და გულწრფელი ადამიანი?

მართალია ანმა იქვე განაცხადა, რომ მას „ქართველი ერის კულტურული ავტონომია“ ისე არ ესმოდა, როგორც ჩვენ, რომ ეს ავტონომია—მისი აზრით—არამც თუ არ ეწინააღმდეგებოდა დადგენილებას, პირიქით, აქედან გამომდინარეობდა ლოლიკურათ, მაგრამ ეს ლიტონი განცხადება აღარ შველოდა საქმეს, რადგან სტატია უკვე დაბეჭდილი გვედო წინ და მაშასადამე აუცილებლათ საჭირო იყო ორში ერთი: ან სტატიის აღნიშნული ადგილი (კულტ. ავტონომიაზე) ანს უკანვე უნდოდა წაეღო საჯაროთ, გაზეთისავე საშუალებით და ან სარედაქციო კოლეგიის შესაფერი შენიშვნა უნდა გაეკეთებინა სტატიისათვის. კოლეგიამ კი როგორც იცით-- არც ერთი ისურვა—და არც მეორე. ამ შემთხვევაში იმის თქმა, რომ თუ სტატიის მთელი შინაარსი არ ეწინააღმდეგებოდა დადგენილებას, ჩვენ ცალკე ტერმინებს არ უნდა გამოვკიდებოდითო, ამის თქმა მკითხველების მასხარათ აგდებაა და მეტი არაფერი.

*) ანი ასახელებს „ჩვენი კვალის“ № 5-ში დაბეჭდილ არისტიდის წერილს. ანმა კარგათ იცის, რომ არისტიდი მე არა ვარ. იგი ერთი იმ ამხანაგთაგანია, რომელნიც დაესწრენ კოლეგიის კრებას, თუმცა ამის წევრები არ არიან. მე ხელ მეორეთ გადავიკითხე არისტიდის წერილი, მას იქ მაინც არაფერი აღმოუჩნდა იმის მსგავსი, ვითომ მე უარ მეყოს ჩემი აზრი და დადგენილების მცველათ და მფარველათ გამოვსულიყავ.

ანმა თვითონაც კარგათ იცოდა—თავიდანვე თუ არა, აღნიშნულ სარედაქციო კრების შემდეგ მაინც—იცოდა, რომ ქართველი ერის კულტურული ავტონომიის მოთხოვნა ვერ მოთავსდებოდა დადგენილებაში, და ამიტომაც მან ისე დაათავა თავისი წერილები „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, რომ სიტყვა აღარ დაუძრავს ამ ავტონომიაზე. მის წერილების დასკვნაც სრული უარყოფაა, როგორც ქართველობის, ისე კავკასიის ყველა სხვა ერების კულტურულ ავტონომიისა. ანი მაინც არ იშლის და მომხრეობას უწევს რაღაც ავტონომიის; ეს არის ვითომ ამიერ კავკასიის ყველა ერების **საერთო** კულტურული ავტონომია,—რომელიც, თავისთავათ აბსურდია, შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას.

მერე რას ნიშნავს ყველა ეს? ნიშნავს იმას, რომ ანმა მოიწადინა, შეცვლილ გარემოების მიხედვით, ძველი დადგენილებისათვის ვითომ გაფართოებითი განმარტება მიეცა, რათა ამ რიგათ გაემგრებინა ეს დადგენილება, ბოლო მოეღო გაჩენილ რყევისათვის (шатаніе-სთვის—როგორც თვითონვე სთქვა რედაქციაში იმავე დღეს). ეხლა ანს ვითომ აღარც კი სჯერა ეს რყევა, იგი ამ სიტყვას, თავის წერილში განცვიფრებით და კითხვითი ნიშნებს უსვამს, მაგრამ—დეე, იცოდეს ანმა—არ გავლის ერთი წელიწადიც, რომ ეს დადგენილება ჩაბარდება ისტორიას. დიახ, ანი ესწრაფოდა პარტიაში გაჩენილი მიდრეკილება ავტონომიისადმი მოეკლა კულტურულ ავტონომიაზე გამოფენილ უშინაარსო ფრაზეოლოგიით. მე ამას წინაადვუდექი. და აი ეხლა ანი გამოსულა... „სახარების წასაკითხათ“, (კარგი ნათქვამია თქვენმა მზემ) ჩემს მოქცევას „დიდათ უზნეო საქციელს“ უძახის და თავის წერილსაც აბოლოვებს: „ეს წერილი გააფრთხილებს იმათაც, ვისაც კიდევ სჯერათ მისი (ე. ი. ჩემი) პოლიტიკური გულწრფელობა და პირდაპირობა“ო. გაგონილა ასეთი უტიფრობა?!. ანი ჩივის, ლ. დ. „მეც მისებურათ შევუმკივარ“-ო, ჩემს წინაალმდეგ „საზიზღარი ჭორი“, ხრიკები“ და „ინსინუაციები“ გამოუტანიაო და დასამტკიცებლათ მოყავს „საბუთები“ არა ჩემი წერილიდან Prodomo suo“, არამედ „ჩვენი კვალის № 1-ში დაბეჭდილ მეთაურ წერილის სხოლიოდან. ანი იწერს აღნიშნულ სხოლიოდან იმ სტრიქონებს, სადაც ნათქვამია, რომ ერთხელ ანი ამხანაგებმა მაგრათ შებოქეს გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმის არტახებით და ამას ასე განმარტავს: **„ე. ი. მე სხვისი ჩაგონებით ვწერ ნაციონალურ კითხვაზე.** ამის დამწერი განა პატარა კაცი, კაცუნა არ არის?“ მარა მაგ ხაზგასმულ სტრიქონების დამწერი თვითონ ანია; სხოლიოში კი ის აზრია გატარებული, რომ ანს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროს სწორე შეხედულება ჰქონდა ეროვნულ საკითხზე, მარა, შემდეგ, როცა იგი დატრიალდა იმ ამხანაგებში, რომელნიც უკიდურესობამდე გაჟღენთილი იყვენ გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმით, მან განიცადა ამ ამხანაგების ძლიერი ზე-გავლენა და თვითონაც **შეითვისა** მათი მრუდე შეხედულება. „არტახებით შებოქვა“ ხომ უბრალო მეტაფორაა. ანმა კარგათ იცის მე ასეთი მეტაფორა ვიხმარე განგებ იმიტომ, რომ ნიშნობლივათ მიმეთითებინა სხვათა შორის ერთ ინციდენტზე, რასაც ჩემი აზრით, პარტიისთვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს. „ჩაგონებით წერა“ კი სოციალისტურ პრესაში შეუძლებელია. შემდეგ ანს თავისებურათ მოყავს მეორე სხოლიო, საც ნათქვამი იყო, რომ ანმა, ჩვენ შორის მომხდარ კონფლიქტის შემდეგ, ერთ თავის წერილით („იხ. ცხოვ. სარკე“ № 10) უკვე რამოდენიმე ცვლილება შეიტანა დადგენილებაშიო. იგი აცხადებს, რომ ესეც ჭორი და ცილისწამებაა, რომ მან ხსენებულ სტატიაში გატარებული აზრი გამოსთქვა ჯერ კიდევ ამ ოთხი წლის წინათ და რომ მე ეს უნდა მცოდნოდა საზღვარ-გარეთ ყოფნის დროსვე. მაგრამ საზღვარ-გარეთ ანის შესახებ მე შეიძლება სხვა რამეც მცოდნოდა, ის მაგ., რომ იგი ერთხელ „პოლიტიკურ ავტონომიის“ მომხრეც იყო. ასე, როდესაც 1903 წლის ზაფხულს ანი და დ—ე თ—ძე ჩემთან შემოვიდენ ბრიუსელში, ჩემს პირველსავე შეკითხვაზე, თუ როგორი მანდატი ჰქონდა კავკასიის დელეგაციას ეროვნულ პროგრამის შესახებ, ანმა დაბეჯითებით განმიცხადა: „ჩვენი მოთხოვნაა პარლამენტი თფილისში“!... რა თქმა უნდა მე ამ საკმაოთ მოშორებულ წარსულის მოგონებებზე ვერ დავემყარებოდი, რადგან უახლობელესი წარსული წინაალმდეგს მეუბნებოდა. ასე მაგ. როცა ჩვენი დეპუტატები პირველ სახელმწიფო დუმაში მიემგზავრებოდენ, ჩვენ ცხარე დავა-კამათი გვქონდა ეროვნულ მოთხოვნათა შესახებ, როგორც დიდ კრებებზე, ისე კერძოთ მე და ანს. და ყველა ამ კრებებზე ანი გადაჭრით უარყოფდა ამიერ-კავკასიის სეიმს მისცემოდა **რაიმე** საკანონმდებლო ფუნქციები, **რაიმე** ადგილობრივ საქმეებში. ეხლა კი ზემო აღნიშნულ წერილში ანი სწერს: „ერთი სიტყვით, სეიმს უნდა ჰქონდეს უფლება გამოსცეს ისეთი **კანონები**, რომელნიც აკმაყოფილებენ ადგილობრივ **კულტურულ და ტერიტორიალურ საჭიროებებს**“. ამ წერილში „შესწორება“ დაინახეს, ჩემს გარდა, კიდევ სხვა ამხანაგებმაც და თვით ანის თანამოაზრეებმაც.

მე არ მითქვამს, ვითომ „შესწორება“ გამოეწვიოს „შიშს“ „ალიონის“ წინაშე. მე მხოლოთ ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ „ძველი აზრის“ რყევა, რომლისთვისაც ბოლო უნდა მოეღო ანს, ეს რყევა გავრცელდა თვითონ ანზე; და ამ „ცვლილებას“ **იმპულსი** მიეცა იმ გარემოებათ, რომლის გამოხატულებაა „ალიონი“. ეს ორგანო სრულიად შემთხვევით მოჰყვა ჩვენს სარედაქციო კონფლიქტს, იგი უნდა დაბადებულიყო ბუნებრივის აუცილებლობით, რადგან გამომხატველია რეალურათ არსებულ პარტიაში გაჩენილ მიმდინარეობისა *). თავისთავად ცხადია, რომ ამ გარემოებისათვის ანს ანგარიში უნდა გაეწია. აი სწორეთ ეს არის აღნიშნული იმ სხოლიოში და მეტი არაფერი.

დასასრულ, ანი უარყოფს ჩემს განმარტებას ჩვენი კონფლიქტის შესახებ, თუმცა ამ განმარტებას იგი ერთიანათ აუკუღმართებს: „ლ. დ.-ს დიდი ხანია ვიცნობ, როგორც „ავტონომისტსო“, თითქოს საქმე ამაში ყოფილიყოს. „ავტონომისტები“ კიდევ სხვა ამხანაგებიც არიან, მარა მხოლოთ ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ანს, საბუთს ვერ მისცემს ამათ მოსასპობათ. მართალია ანი აცხადებს, რომ მას „წყაროს“ შემდეგაც ჩემთან „მეგობრული კავშირი არ შეუწყვეტია“, მაგრამ... ის კი ცხადია, რომ თვით წერილები „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ სწორეთ „წყარომ“ დააწერინა. ანზე ბევრით ადრე მე მივიღე დასაბეჭდათ ერთ ამხანა-

*) „ალიონის“ გამოცემა განზრახული გვქონდა ჯერ კიდევ „რიჟრაჟის“ დროს, მარა ათასი დაბრკოლება გადაგვეღობა წინ.

გის ლ. მ. სტატია, სადაც გატარებული იყო ოგიკე აზრები, რაც შემდეგ ანმა დაიცვა თავის წერილებში. მარა აღნიშნულ სტატიის დაბეჭდვა მე შევაკვიანე, რადგან უმალ მინდოდა მოგვეხდინა თათბირი რედაქციისათვის ახალ ,,დროებით'' დირექტივების შესამუშავებლათ. კრების გამართვა კი არ ხერხდებოდა, რადგან ამხანაგები დაქსაქსული იყვენ. სწორეთ ამ დროს გაჩნდა ანი თავის პირველი წერილით ,,ქართვ. ხალ. და ნაც.'' მე ესეც რედაქციის პორტფელში მოვაქციე, სადაც იგი ინახებოდა რამდენიმე დღე, იმავ თათბირის მოლოდინში. მარა force mageure-მა მაიძულა სტატია გამეშვა სამი დღით ადრე იმ კრებაზე, რომელზედაც ის უნდა განხილულიყო...

ანი ფიქრობდა პარტიას ადვილათ მისჯაქვავდა ძველ დადგენილებაზე და მეც ერთიანათ გამაბათილებდა, მაგრამ მე იმას გზიდან არ ჩამოვეცალე და აი სწორეთ აქ მოხდა ის, რაც უკვე ვიცით.

ანი ჩემს ასეთ განმარტებაზე აცხადებს ,,ეს ერთიანათ ტყუილია'''. მიზეზი ის იყო, რომ ,,ლ. დ. დიდათ უზნეო საქციელი ჩაიდინა''... დამილოცნია ანისათვის მისი ,,განმარტება''.

ჩვენ ზევით უკვე დავინახეთ, თუ ანი ამ ,,უზნეობის'' დასამტკიცებლათ რა სამარცხვინო გზას ადგება და რა აღმაშფოთებელ სიყალბეს იდენს. მერე რათ, რათ მიმართავს ანი ჩემს წინააღმდეგ ასეთ საშუალებებს? რათ ეხება ასე ტლანქათ ჩემს ზნეობას? ასე რათ ცდილობს იგი ჩემს პირადობის შელახვას? იმიტომ ხომ არა, რომ ზნეობრივათ დამარცხებული ადამიანი აღარ არის ,,საშიშარი კაცი''?

Oh,misère humaine! (,,ოჰ, ადამიანის არარაობავ''!)

ანს არა ჰყოფნის ჩემი აწმყოში მოსპობა და იგი ჩემს წარსულსაც გადასწდომია. იგი მიმართავს იმათ, „ვისაც კიდევ სჯერათ ლ. დ.-ს პოლიტიკური გულწრფელობა და პირდაპირობა“ და აგრე უსისინებს: „როცა ის (ლ. დ.) საზღვარ—გარეთიდან დაბრუნდა და „ივერიაში“ მოიკალათა, როცა ის **„განზე“ იყურებოდა და პარტიას გაურბოდა**, როცა გვეუბნებოდა, რომ **მისი სული და გული სხვისკენ ძევს—მე** (და განსაკუთრებით ჩვენი საერთო მეგობარი ს. ჯ—ძე) **ჩვენსკენ ვეპატიჟებოდით და ბოლოს, შემდეგ ბევრი ლაპარაკისა**, კიდევაც შემოვიყვანეთ—ჯერ „სხივში“ და მერე სხვა მის მემკვიდრე რედაქციებში. მართალია, ერთი ამხანაგი, ფ. მ—ძე (აგრეთვე ჩვენი საერთო მეგობარი) გვაფრთხილებდა, ლ. დ. სანდო არ არის, ჩვენი არ არისო და სხვა, მაგრამ ამ სიტყვებმა ვერ გასჭრეს და ლ. დ. კავშირი ვერ შეგვაწყვეტინა. შეიძლება ეს ჩემი და ს. ჯ—ეს წინადაუხედაობა იყო, შეიძლება ეს დიდ შეცდომათ ჩამოგვართვან, მარა **ფაქტი ფაქტათ** დარჩება“.

ამ გვარათ, ჩემ მიერ ზემოთ ხაზგასმული სტრიქონები, თურმე, ფაქტებს აღნიშნავენ. დასახელებულია მოწმეც და მასთან ისეთი ადამიანი, რომლისადმი მე უსაზღვრო ნდობითა ვარ გამსჭვალული, რომლის გულწრფელობაში მე არასოდეს ეჭვის მსგავსი აჩრდილიც კი არ შემიტანია... მაშ ანი კიდევ სავსებით ვერ მიმეტევს, თუ იგი მაინც მიტოვებს ასეთ უბარ საშუალებას სამართლე აღკვდგინო! (ამ მოწმის დასახელება ანის მხრივ მით უფრო რაინდულია, რომ იგი, ს. ჯ—ძე, თავიდან ბოლომდე მოწმე იყო მთელ იმ „დიდათ უზნეო საქციელისაც“ და მთელ იმ სარედაქციო ინციდენტისა).

მე რომ საზღვარ გარეთიდან დავბრუნდი, ის დრო იყო, როცა მთელი იმპერია და განსაკუთრებით საქართველო საოცნებო ქვეყანას ემსგავსებოდა, როცა ჩვენი ხალხი თავისუფლებისადმი სიყვარულით ანთებული გოლიათურ გამოლაშქრებისათვინ ემზადებოდა. ასეთ დროს, მოქმედების შემოფარგვლას პატარა წრეებით და საიდუმლო ორგანიზაციებით მე დანაშაულობათ ვცნობდი. უაღრეს მოვალეობათ ვთვლიდი პირდაპირ ხალხის მასასთან ლაპარაკს და ურთიერთობას, რომლის ერთ მთავარ-საშუალებათაგანია ლეგალური პრესა, იმ დროს, გარდა სოც. ფედერალისტებისა და რუსულ ენის რადიკალთა ორგანოებისა, არსებობდა კიდევ „მოგზაური“ და „ივერია“. პირველში არ შევედი, რადგან მისი რედაქცია ადგა ბოლშევიკურ ტაქტიკას, რასაც მე არ თანაუგრძნობდი; გარდა ამისა ნაციონალურ საკითხში ჩემს და რედაქციას შორის გარდაუვალი ხრამი იყო გაწოლილი. მესამე, „მოგზაური“ იყო ყოველკვირეული გაზეთი, მე კი ყოველდღიურს ვირჩევდი, რადგან ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა; და მეოთხეც, თითქმის დარწმუნებული ვიყავ, რომ მის ხელმძღვანელთან მე, საზოგადოთ, ვერ მოვრიგდებოდი. ამისათვინ საკმაო ლიტერატურული პრეცედენტები მქონდა. „ივერია“ კი იყო უპარტიო და იმ ხანებს აშკარა სოციალისტურ ელფერს ატარებდა. ამიტომ დავიწყე ამ გაზეთში თანამშრომლობა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მთელ ამ თანამშრომლობის განმავლობაში, ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი მე ერთობ ჯენტლმენურათ მექცეოდა; ჩემ ხელნაწერებს ბეჭდავდა სრულიად შეუცვლელათ და შეუმოკლებლივ. და თუ რაიმე სიტყვის გასწორებას მოინდომებდა, ამაზედაც უმალ მე შემეკითხებოდა ხოლმე. აქვე ისიც უნდა შევნიშნო, რომ „ივერიაში“ შესვლით მე ფიქრათაც არ მომსვლია უარი მეთქვა ანთან თანამშრომლობაზე, რასაც კარგათ მოწმობს ის გარემოებაც, რომ მე ანს გადავეცი ვრცელი ხელნაწერი ს. ჯ—ძეს პირით შევუთვალე, რომ სისტემატიურათ ვითანამშრომლებდი იმ ორგანოში, რომელსაც ანი მაშინ რედაქტორობდა. მაგრამ აღნიშნული ხელნაწერიც, თუმცა ანისაგან მოწონებული იყო დასაბეჭდათ, არ დაიბეჭდა და თვით ორგანოც მალე დაიხურა.

ჩემმა თანამშრომლობამ „ივერიაში“ დიახაც რომ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ამხანაგთა შორის, თითქმის ყველა ამათ ალმაცერათ დამიწყეს ყურება, ზოგმაც თვით ფაქტი „ივერიაში“ თანამშრომლობისა პარტიის ღალატს დაადარა. ს. ჯ—ძეს ჩემთვის არ უთქვავს თავი დამენებებინა „ივერიისთვის“, მაგრამ მას ჩემთან არა ერთხელ გამოუთქვავს თვისი მწვავე უკმაყოფილება და საყვედური იმის გამო, რომ მე „ივერიაში“ დავიწყე თანამშრომლობა. ამ გაზეთის თავის დანებებაზე არას მეუბნებოდა ალბათ იმიტომ, რომ კარგათა გრძნობდა მე მას ამ შემთხვევაში არ გავუგონებდი; და ამას მით უფრო გრძნობდა, რომ იმ ხანებში მე მასთან უკვე დიდი „ურჩობა“ დავამტკიცე. ეს იყო კონფერენციაზე, რომელიც მოხდა სწორეთ იმ ხანებში, როცა მე „ივერიაში“ დავიწყე თანამშრომლობა. საჭიროა აღვნიშნო ეს ამბავი, რადგან მასთან შეერთებულია ერთი ინციდენტი, რასაც ეხება თვითონ ანი, როცა სწერს: „(ლ. დ.) გვეუბნებოდა, რომ მისი სული და გული სხვისკენ (მოწინააღმდეგეთა ბანაკისკენ) ძევსო“;

ამით გვეცოდინება თუ ანის ამ სტრიქონებში რამდენი... უკულმართობაა ჩაქსოვილი.

კონფერენციის განსახილველ რამდენსამე მთავარ საკითხებში მე არ ვეთანხმებოდი დელეგატების დიდ უმრავლესობას, ზოგჯერ თითქმის მთელ კონფერენციის წინააღმდეგ მიხდებოდა წასვლა; მე და ანიც არა ერთ-ხელ და ორჯელ ცხარეთ შეველაპარაკეთ ერთმანეთს. ყველა ეს დიდათ სამწუხრათ ჰქონდა განსაკუთრებით ს. ჯ—ძეს. მეუბნებოდა, რომ მე ძალიან ვცდებოდი, ვერ ვაფასებდი ადგილობრივ პირობებს, ვერც დავაფასებდი, რადგან ჯერ არ გავცნობოდი აქაურობას, დიდი ხანი ვიყავი ჩვენს ქვეყანას მოშორებული, რომ საზღვარ-გარეთიდან შეუძლებელი იყო აქაურ ვითარების დანახვა და სხ., რაზედაც მე ვუპასუხებდი, რომ იქიდანაც გულდასმით ვადევნებდი თვალს აქაურ ვითარებას, რომ მთელ მოძრაობის დანახვა ზოგჯერ შორიდან უფრო ადვილიც არის, ვინემ ახლოდან, რომ, სხვათა შორის დღიდან განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებისა, საზღვარ გარეთის ჟურნალ გაზეთობაში აუარებელი მასალა იბეჭდებოდა რუსეთის შესახებ, რომ ზოგჯერ მეტავნდებოდა ისეთი მასალა, ისეთი ფაქტები და თვით წვრილმანები საქმისა, რის გაგება ადგილობრივ ამხანაგებს ყოველთვის არც შეეძლოთ და სხ. მაგრამ ს. ჯ—ძე თავისაზე იდგა და ის მაინც მიმტკიცებდა, მარწმუნებდა, მემუდარებოდა თავი გამენებებინა კონფერენციის ასეთ ოპოზიციონერობისთვის და სულაც შემეწყვიტა თათბირში მონაწილეობის მიღება. მე, რა თქმა უნდა, მას არ გაუგონე და ყველა სხდომებზე ბოლომდის ვიცავდი ჩემს შეხედულებას. ჩვენს მეგობრულ ურთიერთობასაც ღრუბლები ეფინებოდა და ეს მეც დიდათ მაწუხებდა. ერთ საღამოს კონფერენციის მწვავე დებატების შემდეგ მე, ს. ჯ—ძემ და ანმა შევიარეთ ბაღში, იქ დაბურულ ხეივან ქვეშ, ერთ მაგიდასთან ჩამოვსხედით და თითო ჭიქა ლუდი მოვითხოვეთ. (იქვე შეგვესწრო ჩვენი ამხანაგი ვლ. მ—ძე.) ჩამოვარდა დუმილი, შეუფერებლივ გრძელი პაუზა; ბოლოს მე დავარღვიე სიჩუმე დაახლოვებით ასეთი სიტყვებით: „თითქოს წინაგრძნობა მეუბნებოდა, რომ ეს აგრე მოხდებოდა; საზღვარ-გარეთიდანვე თითქოს ვხედავდი, რომ ჩვენ შორის გაჩნდებოდა უთანხმოება ტაქტიკურ საკითხებში, ვიცოდი რამდენათ მნიშვნელოვანია ეს უთანხმოება განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, კარგათ მესმოდა, რომ ჩვენი უთანხმოება თავის გავლენას იქონიებდა, ჩრდილს მოაყენებდა ჩვენს ურთი-ერთ-შორის განწყობილებას. მაგრამ თუნდა სულაც გაწყდეს სიმები, სულაც დავკარგო მეგობრები, ჩემს ასეთ ტაქტიკურ შეხედულებას არ მივატოვებ, რადგან ეს შეხედულება დღეს ჩემთვის სწორე და შეუმცდარია“. ეს იყო და ეს. ამაზე მეტი არაფერი მითქვავს. მართალია, თუ კაცი მოიწადინებს, აქედანაც გამოიყვანს იმას, ვითომ მე მეთქვას „ჩემი სული და გული სხვისკენ ძევსო“,—რაიც, რასაკვირველია, არ მითქვავს, ვერ ვეტყოდი, არ შემეძლო მეთქვა—მარა წარმოვიდგინოთ ანისაგან დამოწმებული ეს სტრიქონები მე მეკუთვნოდეს. მაშინ ვის და რას უნდა აღნიშნავდეს სიტყვა „სხვისკენ“? ცხადია იმას, იმ ბანაკს, რომელიც სამართლიანათ იცნობდა ჩემს ტაქტიკურ შეხედულებას. როგორი ღა იყო ეს უკანასკნელი?

ჩვენი უთანხმოება ტრიალებდა ორი საკითხის გარშემო, ეს იყო: 1) ბოლშევიკებთან შეერთება და 2) საზოგადოთ პოლიტიკური კამპანია (ვემზადებოდით ბულიგინისეულ დუმის არჩევნებისათვის, რასაც, როგორც იცით, არ დასცალდა განხორციელება, რადგან 17 ოქტ. მანიფესტმა წამოუსწრო. ნაციონალური საკითხი კონფერენციას არა ჰქონია განსახილველი; ამ საკითხზე მაშინ არც საერთო კრებაზე და არც კერძოთ არა გვქონია კამათი). აი ორიოდე სიტყვით ის, რასაც მე მაშინ ვამტკიცებდი. განმათავისუფლებელი მოძრაობა, რასაც განიცდის დღეს რუსეთის იმპერია, არის ბურჟუაზიული რევოლიუცია; სანამ ფეხზე დგას ძველი რეჟიმი, პროლეტარიატს, უნდა თუ არ უნდა, მას „მოკავშირეებათ“ ყავს ყველა პროგრესიული საზოგადოებრივი კლასები და ჯგუფები, მარა დღეს მუშა-ხალხი არამც თუ არ უნდა თაკილობდეს და არ უნდა გაურბოდეს ამ „მოკავშირეებს“, პირიქით უნდა ეცადოს, რაც შეიძლება, სავსებით გამოიყენოს ბურჟუაზიის ყველა ოპოზიციონურ-რევოლიუციონური ძალები; ამისათვის წინ წამოყენებულ და ხაზგასმული უნდა იქმნას ხოლმე საერთო საიმპერიო მიზნები; ჩვენ არამც თუ არ უნდა მოვერიდოთ ბურჟუაზიულ პარტიებთან კერძო, დროებით, ტეხნიკურ შეთანხმებას, პირიქით უნდა ვეცადოთ მოხდეს ასეთი შეთანხმებები, ხოლო ამასთანავე, ეჭვს გარეშეა, საერთო შტრის წინააღმდეგ საერთო გალაშქრებაშიაც პროლეტარიატს მუდამ მაღლა უნდა ეჭიროს თავისი პარტიის ბაირაღი და ოდნავადაც არ უნდა დაჰკარგოს თვისი იდეიური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. ერთის სიტყვით, მე აღვნიშნავდი ყველა რევოლიუციონურ და ოპოზიციონურ ძალთა შემოკრება-შეჯგუფების უაღრეს საჭიროებას—დასახელებულ გარანტიით—და ამხანაგებს გავაფრთხილებდი იმ „შეურიგებელ“ ტაქტიკისაგან, რომლის მიუცილებელი, დამღუპველი შედეგი უნდა ყოფილიყო პროლეტარიატის განმარტოება ბრძოლის ველზე... როგორცა ვთქვი კონფერენციის დიდი უმრავლესობა ჩემი შეხედულების წინააღმდეგ წავიდა. მეტია აქ იმაზე ლაპარაკი, თუ ვინ გაამართლა და ვინ გაამტყუნა ცხოვრებამ—მე თუ ამხანაგები, ვიტყვი მხოლოთ, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ—მართალია, post factum—გ. პლეხანოვი ენერგიულათ და მჭერმეტყველურათ გამოესარჩლა სწორეთ იმავე ტაქტიკას (იხ. მისი „სოც. დემ. დღიური“), რასაც მე ვიცავდი იმ კონფერენციაზე. მე ამ გარემოებაზე, ამ ტაქტიკის სოულ მსგავსება—იგივეობაზე მაშინვე მიუთითე ს. ჯ—ძეს. რომელმაც მიპასუხა: კი, მაგრამ იგიცა სცდება, იგიც მოშორებულია რუსეთის სინამდვილესო და სხ. ასეთივე იყო ამხანაგთა უმრავლესობის აზრი: ესენიც დაჟინებით იმეორებდენ, რომ პლეხანოვს აღარ ესმის ტაქტიკური საკითხები, ის ემჯობინება მან სულაც თავი დაანებოს ამ საკითხებს და მხოლოთ თეორიაზე სწეროსო და სხ. რაც შეეხება კონფერენციის მეორე საკითხს, ბოლშევიკებთან შეერთების შესახებ, მე, რასაკვირველია, ბეჯითათ ვიცავდი ამ შეერთებას და თუმცა ამ შემთხვევაშიც კონფერენციაზე მე თითქმის მხოლოობით რიცხვში დავრჩი, მარა მცირეოდენი ხნის შემდეგ ჩემი შეხედულება დაადასტურა სრულიად რუსეთის სიეზდმა. მაშასადამე, ნათქვამიდან აშკარა არის, რომ ჩემი „სული და გული სხვისკენ“, მოწინააღმდეგეთა ბანაკისაკენ ყოფილა, თუ კი ასეთ ბანაკს წარმოადგენენ სიეზდი და პლეხანოვი.

ანმა თვითონაც ძალიან კარგათ იცის საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ ის მაინც ფაქტებს ამახინჯებს, აუკულმართებს, განზრახ ტყუის და სიყალბის მორევში ინთქმება მხოლოთ იმ მიზნით, რომ დაამტკიცოს:

,,ლ. დ. საშიშარი კაცი არის''! მოერიდეთო!.. ,,მისი სული და გული სხვისკენ იყო'' იმ თავიდანვე, ეს ასე განგვიცხადა პირადათ ლ. დ.-მა... ,,ის განზე'' იყურებოდა და პარტიას გაურბოდა'', მხოლოთ ჩვენ, მე და ს. ჯ—ძე ჩვენსკენ ვეწეოდით, ჩვენსკენ ვეპატიჟებოდით და დღევანდლამდე ჩვენ დავაკავეთ პარტიაში ჩვენის ,,შეცდომით'' და ,,წინდაუხედაობითო''... მაგრამ ეს ნებაყოფლობით თავის თავზე აღებული ბრალდება მე თვითონ უნდა ჩამოვხსნა ანს, რადგან ნამდვილათ არც ანი და არც ს. ჯ—ძე **არასოდეს** არ შეწუხებულან ჩემს ,,საპატიჟებლათ'' და არც არასოდეს მე მითქვამს უარი მოვალეობის შესრულებაზე. ანი ნიშნობლივათ ამბობს, რომ ლ. დ. ,,სხივში'' შემოვიყვანეთ ,,ბოლოს, შემდეგ ბევრი ლაპარაკისაო'', კიდევ აღმაშფოთებელი სიყალბეა. ნამდვილათ ამაზე არც ,,ბევრი'' და არც ცოტა ,,ლაპარაკი'' ჩემთან **არავის** არ ჰქონია, მე მარტო ერთხელ მოვხდი მხოლოთ ერთ კრების ბოლოს, (სადაც ლაპარაკი უნდა ყოფილიყო ,,სხივის'' თანამშრომლების მოწვევაზე და სხვა ტეხნიკურ საკითხებზე, ანმა განმიცხადა, რედაქციაში, სხვათა შორის ფ. მ—ძე იქნებაო, და რა გაიგო, რომ ეს გარემოება მე თანამშრომლობაზე უარს ვერ მათქმევინებდა, მიუბრუნდა ს. ჯ—ძეს და ჩემზე შენიშნა: ამ კაცს ალბათ ჰონორარიც ენდომებაო, რაზედაც ს. ჯ—ძემ მიუგო: და რაღა ამ კაცს, ჰონორარი, მგონია, შენთვისაც და ყველა თანამშრომლებისათვის საჭირო იქნებაო. შემდეგ, ნახევრათ ხუმრობის კილოზე ვილაპარაკეთ ჰონორარზე და დავიშალენით. რამდენიმე ღლის შემდეგ ჩემთან შემოვიდა ს. ჯ—ძე და, სხვათა შორის, შემეკითხა—განა შენ იმ ღამეს სერიოზულათ **ლაპარაკობდი** ჰონორარზეო? მე საყვედურით მივმართე: როგორ სერიოზულათ, შენ კარგათ იცი, რომ ლიტერატურულ ჰონორარის გარდა, მე სხვა წყარო არსებობისა არა მაქვს, მაგრამ მგონია ისიც კარგათ იცი, რომ მე ამ საკითხს ვერ დავუკავშირებ ჩემს „სხივში" თანამშრომლობას. მე „სხივში" ვითანამშრომლებ მაშინაც კი, თუნდ რომ გროშიც არ მივიღო იქიდან ჰონორარი; უკვე რამდენიმე კვირაა, ჯერ არც ჰონორარზე და არც ჩემს თანამშრომლობაზე სიტყვაც არავის დაეძრა, რომ მე უკვე გადავწყვიტე ,,ივერიის'' თავის დანებება და ,,სხივში'' გადმოსვლა, ასეც განვუცხადე ,,ივერიის'' რედაქციას, ესევე მინდოდა გაზეთისავე საშუალებით გამომეცხადებინა, საამისო კიდეც დავწერე წერილი, მარა აღარ დავაბეჭდინე, რადგან ჩემ თავზე ყურადღების მიქცევა მეუხერხულა, პრეტენციოზულათ მეჩვენა''. და იქვე წავუკითხე ს. ჯ—ძეს შემდეგი **გამოსათხოვებელი წერილი.** (მომყავს შეუცვლელათ და სიტყვა-სიტყვით)

,,აი დადგა ჟამი აუცილებელ განმორებისა, ჟამი იდუმალათ ტკბილ-სანეტარო საკუთარ სახლში დაბრუნებისა. დღეიდან ვტოვებ გაზ. „ივერიას". პარტიამ, რომელსაც მე ვეკუთვნი, შეიძინა თავისი ორგანო. ეს არის „სხივი''. მის ქვეყნათ გამოსვლას ამ მოკლე ხანში ვიდღესასწაულებთ.

,,დღიდგან სამშობლოში დაბრუნებისა, აქამომდე ჩემთვის ერთათ ერთი საშუალება ლეგალურ სამწერლო ასპარეზზე მეშრომნა იყო ,,ივერია''. ამ გაზეთმა უცხოეთიდან დაბრუნებულს ქართველურის ხელგაშლილობით გადამიხსნა თავისი ფურცლები ჩემის პარტიის მისწრაფება-იდეალების სამსახურის; მაგრამ მე მაინც აქ ჩემი თავი არაოდეს არ მიგრძვნია საკუთარ ჭერ ქვეშ. ეხლა კი, მივდივარ ,,სხივში'' და მით საბოლოოთ ვბრუნდები ჩემ სამშობლოში.

„სხივი" ჯერ არ გამოსულა, მაგრამ იგი უკვე გვიწვევს თავისკენ ყველას, ვისაც კი თვისი საარსებო ძალი მუშა ხალხის საქმესთან გაძაუნასკვავს; „სხივი" მოგვიწვევს ყველას, ვისი ფიქრი-გონება სამარადისოთ მიჯაჭულია კაცობრიობის უდიდეს სოციალურ პრობლემების გადაწყვეტაზე. „სხივი" ანდამტივით გვიტაცებს ყველას, ვისაც კი ანნიბალის ფიცი დაუდვია ს. დ. დიდებულ დროშაზე: მასთან ერთად ან მასზე სიკვდილი!.. „სხივი" ჯერ არ გამოსულა, მაგრამ იგი უკვე ანთებულა ჩვენს გულ-გონებაში...

სტუმარი და მასპინძელი ამიერიდან ვშორდებით ერთმანეთს. მომავალში ალბათ კიდევ შევხვდებით სადმე, მაგრამ ეს იქნება **მხოლოთ იდეიურ ბრძოლის** ურთიერთ შორის გასაწევათ. მასპინძლობისათვის „ივერიის" რედაქციას გულითად მადლობას ვწირავ. ეხლა კი მშვიდობით. სხვა და სხვა არის ჩვენი ვარსკვლავი, სხვა და სხვა არის სავლელი გზები... მშვიდობით... „სხივისაკენ"!

მე „სხივში" ვთანამშრომლობდი პირველი ნომრიდანვე დაწყებული ბოლომდის. ჩემთვის ხელი არ შეუშლია იმ გარემოებასაც, რომ ზომები იქმნა მიღებული—ჩემი თანამშრომლობა დაფარული ყოფილიყო, თუმცა ნაშინ, მე პირადათ სწორეთ წინააღმდეგში ვიყავი დაინტერესებული და ეს აგრეც ავუხსენი ერთ კრებაზე, მარა ანმა გადაჭრით განაცხადა—ეგ ყოვლად შეუძლებელიაო და მას უსიტყვოთ დაეთანხმა კრებაც. ვთანამშრომლობდი აგრეთვე „სხივის" ყველა მემკვიდრე გაზეთებში და აქ არც ანისა და არც სხვების მხრივ მოპატიჟება არაოდეს არ გამხდარა საჭირო. (ანი ამ გაზეთებში უმეტეს ნაწილაო არცა ყოფილა; იგი რუსეთში არჩევდა ყოფნას და უფრო კაპიტალურ საქმეებზე მუშაობდა). მე ვთანამშრომლობდი განუწყვეტლივ, გარდა სამიოდ ხანმოკლე შემთხვევისა, როცა ფიზიკურათ მეს-ბოდა წერის საშუალება. ხშირათ და ხანგრძლივაც ჰონორარს ან სულ ვერ ვიღებდი ანუ ვიღებდი თითოოროლა მანეთობით და კაპეიკოპით, მაგრამ მე მაინც „განზე" არასოდეს არ დამიწყვია ყურება, თუმცა მქონია საშუალება უკეთეს ჰონორარის საშოვნელათ. ასე მაგ. ს. ჯ—ძემ იცის, რომ ამ ორი წლის წინათ ერთ მოშორებულ ქალაქში, ერთი საკომერციო დაწესებულება მაძლევდა თვეში 300 მ. სამას მანეთიან ადგილს, მარა რადგან ამ ადგილზე დადგომა ჩვენს ლიტერატურას მაშორებდა, მე უარი ვთქვი იმ ადგილზე და ვამჯობინე დავრჩენილიყავ „სხივის" მემკვიდრე გაზეთებში, სადაც ვმუშაობდი უკანასკნელ დრომდე. და აი ეხლა გამოსულა ანი და... მაგრამ კმარა...

ასეთია ფაქტები. ყველა ამ წერილში მოთხრობილ ამბების პირადი მოწმეა ს. ჯ—ძე. და თუ მე აქ რაიმე გავაბრუდე, თუ რაიმე ისე არ გადავეცი, როგორც ნამდვილათ იყო, მე ვთხოვ ამხანაგებს ხმა ამოიღონ და სიმართლე აღადგინონ; თუ მე ამ წერილში რაიმე იოტის ოდენა სიყალბე მიმიძღვის, საქმის მცოდნე ამხანაგები ვალდებულნი არიან ხმა ამოიღონ და ეს საჯაროთ, პრესის საშუალებით განაცხადონ!..

ლ. დ.

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. **„სორაპანი"**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.